

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი



კვარტალური ანგარიში

ოქტომბერი-ნოემბერი-დეკემბერი

თბილისი  
2008 წელი

---

## სარჩევი

• მოამბე, რეგიონალური მოამბე	2
• ანალიტიკური თოქ-შოუ „აქცენტები“	4
• პირველი თემა	6
• რადიო	7
• ნაციონალური „მოამბე“	9
• საბავშვო მიმართულება	12
• საბავშვო ევროვიზია	15
• მუსიკალური მიმართულება	16
• კაბარე 5 ვარსკვლავი	17
• გადაცემა „ნაცნობი“	18
• სპორტული მიმართულება	19
• კინოპროგრამების მიმართულება	21
• თოქ-შოუ „ცხოვრება მშვენიერია“	23
• შემეცნებითი მიმართულება	28
• გადაცემა „ჩაალაგე ჩემოდანი“	37
• „ერისთავის სათვალე“	39
• „სამოთხის ვაშლები“	41
• ვებ-გვერდი	43
• „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ არქივის სამსახური	44
• ადმინისტრაციული სამსახური	46
• ტექნიკური დეპარტამენტი	47
• ადამიანური რესურსების სამსახური	48
• მონიტორინგის სამსახური	54
• მარკეტინგისა და გაყიდვების სამსახური	55
• ფინანსური დეპარტამენტი- ხარჯები და ანალიზი	60
• მე მიყვარს ჩემი ქვეყანა	
• საქართველოს დიდი ათეული	

## “მოამბე”

### 4 დეკემბერი

1. დანგრეული საფეხბურთო ინფრასტრუქტურა ქ. ქუთაისიში – რის გამოც სტადიონზე უპრეცედენტოდ მცირე ხალხი დადის – ო. გიორგაძე
2. უპასპორტო კაცი სოფ. ჩოხში + დაარეგისტრირეს (ვ. აფციაური) + მისცეს პირადობის მოწმობა და პასპორტი- კაკაბაძე

### 5 დეკემბერი

1. ერთი სოფლის ისტორია – სოფ. სეთურებში ბუნებრივი აირი არ აქვთ – ე. ჯარიაშვილი

### 6 დეკემბერი

1. სვანეთში როგორ ემზადებიან ზამთრისთვის – თ. ანჯაფარიძე

### 7 დეკემბერი

1. საინგილოს ერთადერთი ქართული თეატრი – შურღაია
2. სენაკი-სარფის გზაზე ავარიას 2 ოაჯახის ტრაგედია – დამნაშავე 2 წლის მერე დააკავეს – პროკურატურა კომენტარს არ აკეთებს – ვ. ხუზშიაშვილი

### 8 დეკემბერი

1. 7 შვილის დედა კასპის საავადმყოფოში დაიღუპა -ქირურგი და განყოფილების გამგე, კამერებს ემალებოდნენ, ექსპერტება საქმე შეისწავლეს და ექიმები დასაჯეს- გარდაცვილის მეუღლეს, მედიკოსებთან პრეტენზიები არ აქვს – რას შეეწირა 38 წლის ქალი – თ. ურუშაძე

### 9 დეკემბერი

1. ფოთი იძირება – ზღვა, ნაპირებს ფარავს – ინასარიძე

### 10 დეკემბერი

1. ადამიანები, რომლების უსასტიკეს პირობებში ცხოვრობენ – ოჯახის მაგალითზე, რომლებიც კიბის ქვეშ ცხოვრობენ (რა არის სიღარიბის გაჭირვების ზღვარი, რასაც ადამიანი უძლებს) საქართველოს სიღარიბის გარეშე – ეს სლოგანი ისევ აქტუალურია– გომართელი??? – ჩართვა გაჭირვებული ადამიანების შეფასების კრიტერიუმის ხარვეზები
2. კახეთში რქაწითელის ჯიშის ვაზი გაჩეხეს + გლეხები, რენტაბელურ კულტურას დათესავენ – ქვეყანა შესაძლოა ვაზის გარეშე დარჩეს - რეგიონი

### 11 დეკემბერი

1. ახალციხე – პრობლემებით სავსე სოფელი

### 12 დეკემბერი

ხელმოკლე ოჯახებში დაბადებულ ბავშვებს, დახმარების პროგრამა შეუწყდათ – კოპალიანი

1. სკოლაში გათბობა არ აქვთ და სწავლის პროცესი შეწყვეტილია

### 13 დეკემბერი

1. მიწისძვრით დაზარალებულებს სახლების დანგრევის ეშინიათ –(ფიროსამნაის, გოგოლის, კონსტიტუციის ქუჩებზე მდებარე სახლები + ყველაზე საშიში ბზარები + ხელისუფლება მე-7 წელიწადია ინვესტორების მოძიებას ჰპირდება, მაგრამ უშედეგოდ - ე კოპალიანი
2. აფრიკის დასახ. - დევნილები – ყოფილ ნაგავსაყრელზე სახლები (ისევ დანგრევა ემუქრება) – უკვე მეორედ უსახლკაროდ დარჩენის შიშით შეპყრობილი დევნილები – ე. წივწივაძე

### 14 დეკემბერი

1. ავარიული სახლი სანზონაში – მიშენებების თემა – გომართელი
2. უპატრონო ბავშვთა სახლები –სახელმწიფო არ წყალობს –(როგორ შეიძლება 3 ლარად დღეში ბავშვა იკვებოს) ნ. შურღაია

### 16 დეკემბერი

1. ცაიში განადგურებული ბალნეოლოგიული კურორტი (საკმაოდ დიდი თანხები სჭირდება აღსადგენად, რის საშუალებაც არ არის) – თ. ინასარიძე
2. საქართველოს არცერთ სოფელში არ არის ინტერნეტი – ქოქიაშვილი

### 17 დეკემბერი

1. პატარა გლდანის პრობლემები –უკვე ძალიან დიდი ხანია არც სამარშუტო ტაქსი მოძრაობს და არც არც არანაირი ტრანსპორტი – ს. მდინარაძე
2. საგარეჯო – დაზარალებული ექვსშვილიანი ოჯახი ტყეში მარტო ცხოვრობს – ჩიხლაძე (მოჰყვა გამოხმაურება და ეს ოჯახი გორში დაასახლეს)

### 19 დეკემბერი

1. ტირძნისის მოსახლეობას ელექტოენერგია არ აქვს – ე. ჯარიაშვილი (სახელმწიფოსგან ელექტოენერგიის დავალიანების გადახდას ითხოვდნენ დაზარალებულები)

### 20 დეკემბერი

1. საჩხერე – გაჭირვებული მრავალშვილიანი ოჯახი ვაგონში ცხოვრობს - გამოხმაურება: სიუჟეტის გასვლისთანავე რამდენიმე ადამიანმა დარეკა და გამოთქვა დახმარების სურვილი – გამგებელიც დაჰპირდა, მაგრამ როგორც გაირკვა დღემდე არ დახმარებია)
2. პეპელას დასახლება გასაჭირშია – თელასისგან მიტოვებული კორპუსი, რომელსაც უკვე მე-5 თვეა ელექტროენერგია არ მიეწოდება – 150-მდე ადამიანს არც ბუნებრივი აირი არ აქვს - ნ. მოლოდინაშვილი
3. სამეგრელოს რ-ნი – მოზარდის გამოგონება (მზის გამათბობელი) – ამ სიუჟეტს გამოხმაურება მოჰყვა და ითხოვდნენ მოზარდის კოორდინატებს და ინტერესდებოდნენ გამათბობლის დამონტაჟებით – თ. ინასარიძე

### 21 დეკემბერი

1. კასპის რ-ნი სოფ. ქვემოჭალა –ოჯახები უსახსრობის გამო, ვერ ყიდულობს შეშას. ოსი სეპარატისტები დაკავებულ ტყეში არ უშვებენ მოსახლეობას –ნ. მოლოდინაშვილი

### 22 დეკემბერი

1. გაჭირვებული ოჯახი კახეთში, რომელიც დახმარებას ვერ იღებს – თ. ინასარიძე

### 23 დეკემბერი

1. ახალციხეში მოშლილი კომუნიკაციები – სამხედრო დასახლებაში ამორტიზებული კომუნიკაციების გამო, ზარალდებოდა რუსთაველის ქუჩა (ახალციხეში) – თ. ინასარიძე

### 24 დეკემბერი

1. ყაზტრანსგაზი, მოსახლეობას მრიცხველების გამოცვლას აიძულებს – ნ. ქაჯაია

### 27 დეკემბერი

1. ოპერაციების დაფინანსების სისტემა იცვლება და გადადის სადაზღვეო სისტემაზე – ს. ოხანაშვილი
2. 100 საავადმყოფოს პროგრამა გადავადდა – რატომ ვერ შენდება საავადმყოფოები, როგორც ეს იყო დაგეგმილი – ე. კოპალიანი
3. წყალტუბოს რ-ნი სოფ. მესხეთი (გზის პრობლემა, შეშის პრობლემა... – სოც. პრობლემები – ვინ იღებს პასუხისმგებლობას, რადგანაც გაურკვეველია, რომელ ადმინისტრაციულ ერთეულს ეკუთვნის ?

### 28 დეკემბერი

1. გალის რ-ნი – წინასაახალწლოდ მოსახლეობას აწიოკებენ – ნ. გომართელი
2. შატილი ზამთარში – როგორ ცხოვრობენ შატილში, როცა გზები იკეტება – ნ. მოლოდინაშვილი

### 30 დეკემბერი

1. რატომ უქმდება ონკოლოგიის ცენტრი –აპარატურის გაყიდვის ბრალდებით, ექიმები პროკურატურას მიმართავენ –მათ ბრალდებებს უარყოფენ კლინიკის ხელმძღვანელობა და ჯანდაცვის სამინისტრო - ს. მდინარაძე
2. რატომ იმატებს წინასაახალწლოდ პროდუქტზე ფასები – მოსახლეობის უკმაყოფილება

### 31 დეკემბერი

1. როგორ ხვდებიან ახალ წელს დაზარალებულები – თ. ურუშაძე
2. 9 შეილიანი ოჯახი ვაგონში ცხოვრობს - რა გააკეთა „მოამბემ“ 2008 წელს – რა გამოსმაურებები მოჰყვა ჩვენს სიუჟეტებს – შეჯამება – ე. ჯარიაშვილი

**სულ 38 სიუჟეტი**

დილის გადაცემა-„ალიონი“  
(დეკემბერი-იანვარი)

ქრონომეტრაჟი- 2 სთ და 30წთ.

მაუწყებლობის ფორმატი- პირდაპირი ეთერი

4 დეკემბრიდან დილის გადაცემა ეთერში გადის სრულიად სახეცვლილი ფორმატით, შეიცვალა გადაცემის შინაარსი, შეფუთვა, ვიზუალური მხარე, სტუდია, სახელწოდება. განახლებილი დილის გადაცემა საინფორმაციო-შემეცნებითი ხასიათის პროგრამაა, რომელიც ცდილობს ორსაათნახევრის განმავლობაში მოიცვას საზოგადოების ყველა სეგმენტი- შესაბამისად გადაცემას დაემატა რამდენიმე მნიშვნელოვანი მიმართულება,-ესაა ეკონომიკა, პრესისა და წიგნების მიმოხილვა, ჯანმრთელობა, სპორტი, სასარგებლო რჩევები, ამინდის პროგნოზი და ჯანსაღი კვება.

„ალიონი“ მიჰყავს 4 ძირითად წამყვანსა და 8 თანაწამყვანს. გადაცემაში კეთდება ასევე პირდაპირი ჩართვებიც.

ამ ორი თვის განმავლობაში ვცდილობდით, დილის გადაცემა დინამიური, შინაარსობრივად დატვირთული, ენერგიული და კრეატიული იდეებით სავსე ყოფილიყო.

ჩვენი მიზანი იყო მოგვეცვა საზოგადოების ყველა ნაწილი- ამიტომ „ალიონში“ დიდი ადგილი დაეთმო სხვადასხვა სოციალურ თემატიკას. მაგალითისათვის, იანვრის ერთ-ერთ ბოლო გადაცემაში სტუდიაში მოვიწვიეთ მერიის სატრანსპორტო სამსახურის უფროსი. ის შეკითხვებს საზოგადოებრივ ტრანსპორტში გადახდის ახალ წესებთან დაკავშირებით პასუხობდა. ასეთ შემთხვევებში მაყურებელს საშუალება აქვს პირდაპირ ეთ რში დასვას კითხვები-ამგვარი თემებით დაინტერესება ძალიან დიდია.ამაზე ისიც მიუთითებს,რომ გადაცემაში მაყურებლები არა მხოლოდ უშუალოდ მისი მსვლელობის დროს, მთელი დღის მანძილზე რეკავენ.

1 არხის დილის გადაცემა სხვა ტელეკომპანიების დილის მაუწყებლობისგან კონცეპტუალურად და მთლიანად განსხვავდება- მთავარი ისაა,რომ გადაცემის ფორმატი აგებულია ინფორმაციის დინამიურად მიწოდებაზე. ფორმატი გაწერილია ორ-მაქსიმუმ სამ წუთიან მონაკვეთებად,ყველაზე დიდი დრო ეთობა სტუმრებს. „ალიონის“ მეორე ნაწილში 5 წუთი, მტავარ სტუმარს კი 8 წუთი.

ამ ორი თვის შედეგებით, შეგვიძლია ვიმსჯელოთ,რომ ასეთმა მიდგომამ გაამართლა-„ალიონი“ მაქსიმალურადაა დატვირთული ინფორმაციით და დროის მცირე მონაკვეთში დილის გადაცემის მაყურებელს შეუძლია გაიგოს ბევრი ახალი ამბავი, პოლიტიკის,კულტურის, სპორტის, ჯანმრთელობისა და სხვა სფეროებიდან, მიიღოს ბევრი საჭირო ინფორმაცია.

ყოველდღიურად მაყურებელს „ალიონი“ სთავაზობს სასარგებლო რჩევებს,- მისი წამყვანი ორიგინალური ფორმით ცდილობს სხვადასხვა ყოფითი რჩევები მისცეს მაყურებელს.ხალხი ინტერნეტით გვიგზავნის შეკითხვებს და ასევე გვაწვდის სასარგებლო ინფორმაციას. რჩევების რუბრიკა საკმაოდ რეზონანსულია – ამის დასკვნის საფუძველს სხვადასხვა გამოხმაურებები გვაძლევს- სიმპტომატურია ისიც,რომ რჩევების ეთერში გასვლის ანალოგიური პროექტები გაჩნდა სხვა ტელეკომპანიების დილის ეთერშიც.

გადაცემის ყურებადობა გაიზარდა ყოველდღიური ინტერაქტივის შედეგადაც- „ალიონის“ დასაწყისში ვსვამთ აქტუალურ შეკითხვას. ყოველდღე ეთერში რეკავს ატასამდე მაყურებელი. იყო შემთხვევები,რომ მათმა რიცხვმა ათასს გადააჭარბა.

თუმცა ეს სიახლეც მალევე მოექცა სხვა ტელეკომპანიების ყურადღების ცენტრში და ანალოგი იანერის ბოლოს გაჩნდა მათ დილის გადაცემებშიც.

„ალიონს“ სხვა დილის გადაცემებიდან გამოარჩევდა ისიც, რომ სტუმართან ინტერვიუს წარმართავდნენ არა მხოლოდ წამყვანებით ძირითადი წყვილი - რესპოდენტებს სტუდიაში იწვევდნენ სხვადასხვა მიმართულებების წამყვანებიც.

შევეცადეთ, რომ არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა ყურადღების მიღმა არ დაგვრჩენოდა. „ალიონში“ ისეთი ექსკლუზიური თემებს ვაშუქებდით, რომლებიც შემდეგ არაერთხელ გამხდარა სხვა ტელევიზიებისა და საინფორმაციო საშუალებების ინტერესის საგანი.

### **„ალიონში“ გასული სოციალური და საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტისთვის აქტუალური თემები**

(ზოგადი დახასიათებისთვის შემოგთავაზებთ რამდენიმე თემას, რომელიც გადაცემაში ინტერაქტივისა და სტუმრის დახმარებით გავშალეთ)

1. ცვლილებები საგადასახადო კოდექსში, რომელიც შეეხო მეწარმეებს (სტუმარი-პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ მელიქიშვილი)
2. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გავლენა საქართველოში (ეროვნული ბანკის პრეზიდენტიშ მოადგილე)
3. საზოგადოებრივ ტრანსპორტზე ფასების შეცვლა (მერიის საქალაქო სამსახურის უფროსი)
4. განათლების საკითხები - როგორ მიიღოს სასარგებლო ინფორმაცია მოზარდმა ინტერნეტით
5. კულტურის სამინისტროს ახალი პრიორიტეტები (ნიკა გვარამია) - (ექსკლუზივი)
- 6.

სოხუმში გადაღებული ფოტოები - ქართულ-აფხაზური პროექტი

### **ექსკლუზივები**

(გთავაზობთ სტუმართა ჩამონათვალს)

1. ზურაბ სოტკილავა (პრემიერა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში)
2. რობერტ სტურუა (სარეჟისორო ჯგუფი თეატრალურ უნივერსიტეტში)
3. სოფო ნიჟარაძე (წარმატებული მოდელაჟობა რუსეთსა და ამერიკაში)
4. ნინო სურგულაძე („ლა სკალა“, საქველმოქმედო ფონდი იავნანა)
5. კახი კალაძე (ოჯახური წყვილის ინტერვიუ არა მარტო პირად საკითხებს, ბიზნეს გეგმებსაც შეეხო)
6. ლადო ათანელი (ფილმი მომდერაღზე, რომელიც გიგა ლორთქიფანიძემ გადაიღო)
7. ნიაზ დიასამიძე (ნიაზისა და ზუმბას ახალი ალბომი)

„ალიონში“ წარმატებული გამოდგა ასევე ვიდეოკონკურსი, - მაყურებელი აგზავნის მობილური ტელეფონით ან ვიდეოკამერით გადაღებულ სახალისო და საინტერესო კადრებს. ვიდეო იტვირთება 1 არხის გვერდზე, ალიონის განყოფილებაში. გამარჯვებულს ვაჯილდოვებთ მობილური ტელეფონით-ასეთი ტიპის აქტივობები გადაცემაში მაყურებლის ჩართულობას ზრდის.

„ალიონში“ სიახლე იყო ისიც, რომ სტუდიაში დამონტაჟებული ეკრანებით, მაყურებელს დილით მიეცა შესაძლებლობა პირდაპირ ეთერში თვალი ედევნებინა თბილისის ცენტრალურ ქუჩებისთვის, - ენახა თუ როგორი ამინდია, რამდენად გადატვირთულია მოძრაობა.

დასკვნის სახით, აღსანიშნავია ის, რომ გადაცემამ, რომელსაც ყავს ორი ძლიერი კონკურენტი ქართულ სატელევიზიო ბაზარზე შეძლო რეიტინგის მოპოვება - ბოლო ორი კვირის მონაცემებით, „ალიონის“ რეიტინგი აღემატებოდა იმედის დილის გადაცემის რეიტინგს.

## “მოამბის” რეგიონული ჯგუფი

2009 წლის ოქტომბერი-ნოემბერი-დეკემბერი

“მოამბეს” ჰყავს 7 რეგიონული ჯგუფი:

1. კახეთში
2. შიდა ქართლში
3. ქვემო ქართლში
4. სამეგრელო-ზემო სვანეთში
5. იმერეთში
6. აჭარაში
7. სამცხე-ჯავახეთში

*მათ მიერ გაწეული სამუშაო:*

### 21 ოქტომბერი -20 ნოემბერი

სულ ეთერში გავიდა: 42 სიუჟეტი, 196 კადრ-სინქრონი, 4 ტელე-ჩართვა.

სიუჟეტი მომზადდა დედოფლისწყაროს რაიონის სოფელი ლენინოვკაზე, სადაც არც სკოლა აქვთ, არც მაღაზია, არც ტრანსპორტი, ვერ იღებდნენ სოციალურ დახმარებას. სიუჟეტის ეთერში გასვლის შემდეგ სოციალურმა სააგენტომ რამდენიმე ოჯახის საბუთები ხელახალ განხილვაში დააბრუნა, ბავშვებს კი სკოლაში სასიარულოდ ავტობუსი დაუნიშნეს. გაკეთდა სიუჟეტი ივანე ბერიტაშვილის მუზეუმზე, რომელიც სარეაბილიტაციო შენობის გამო ზიანდება. სოფელ ვეჯინში გადავიღეთ სტიქის შედეგად დაზარალებული ზავრაშვილების მრავალშვილიანი ოჯახი, რომელსაც სიუჟეტის ეთერში გასვლის შემდეგ გამგეობამ 2000-ლარიანი დახმარება გადასცა.

### 21 ნოემბერი – 20 დეკემბერი

სულ ეთერში გავიდა: 21 სიუჟეტი, 112 კადრ-სინქრონი, 1 ტელე-ჩართვა. აქედან 7 სიუჟეტი იყო სოციალურ თემაზე. კახეთმა მოამზადა სიუჟეტი ხვთისიაშვილების ოჯახზე, რომელიც სიუჟეტის ეთერში გასვლის შემდეგ, გადაწყდა, რომ სოციალური სააგენტოს მიერ ხელახლა შემოწმდებოდა. ეს შემოწმება უკვე ჩატარდა და მარტიდან ეს ოჯახი დახმარებას მიიღებს. სოფელ ბალიჭების მოსახლეობა დაგვიკავშირდა და გვთხოვა გაგვეშუქებინა მადნეულის საბადოს მშენებლობის თემა, რაც მათი აზრით სოფლისათვის საზიანო იყო. გაშუქდა ახალციხეში ზამთრისათვის ხე-ტყის პრობლემა, ასევე სოფელ გორთუბანში არსებული ვითარება, სადაც სამედიცინო დაწესებულებისა და ექიმის არარსებობის გამო ოჯახებში მშობიარობენ.

### 21 დეკემბერი – 20 იანვარი

სულ ეთერში გავიდა: 17 სიუჟეტი, 115 კადრ-სინქრონი. 6 სოციალურ თემაზე, დანარჩენი მიდინარე მოვლენებზე. მათ შორის: ახალციხეში სამხედრო დასახლებაში არსებულ მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებზე, რომელიც თავის მხრივ, ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩას უქმნიდა პრობლემებს და აზიანებდა. ქუთაისში, ბროწეულას დასახლებაში მცხოვრებმა ოჯახებმა გვთხოვეს გაგვეშუქებინა ელექტროენერჯის პრობლემა. ისინი აცხადებდნენ, რომ ენერგოპროფორჯია გარდაცვლილ ადამიანებს დავალიანებას აწერდა. მომზადდა საახალწლო სიუჟეტები კახეთიდან და ჯავახეთიდან.

## ანალიტიკური თოქ-შოუ „აქცენტები“

2008 წლის ოქტომბერი-ნოემბერი-დეკემბერი

გადაცემა კვირაში ერთხელ, ოთხშაბათობით გადის და მაუწყებლობა დაიწყო 2008 წლის 10 დეკემბრიდან. დღემდე ეთერში იყო 5 გადაცემა, საახალწლო და საშობაო დასვენებების გამო 31 დეკემბერს და შემდგომ 7 იანვარს გადაცემა ეთერში არ გასულა.

**პირველი, 10 დეკემბერს** გასული გადაცემის თემები გახლდათ:

1. მთავრობაში განხორციელებულ მირიგ ცვლილებებსა და მათ მიზანშეწონილობაზე, ასევე ამ პროცესში საქართველოს პარლამენტის პასუხისმგებლობაზე სასაუბროდ მოწვეული იყო პარლამენტის ვიცესპიკერი მიხეილ მაჭავარიანი
2. მეორე სტუმარი იყო რესპუბლიკური პარტიის ლიდერი დავით უსუფაშვილი, რომელიც „ახალ მემარჯვენეთან“ ახლადგაფორმებულ პოლიტიკურ ალიანსზე მსჯელობდა
3. ექსპერტებმა დავით პაიჭაძემ, ბაკურ კვაშილავამ და პაატა ვეშაპიძემ შეაფასეს როგორც სამთავრობო ისე ოპოზიციური ცვლილებები

**მეორე, 17 დეკემბერს** გასულ გადაცემაში:

1. ეკონომიკური კრიზისის და აგვისტოს ომის შემდგომ განსახორციელებელი ეკონომიკური რეფორმების და სახელისუფლებო სტრატეგიის შესახებ ისაუბრა ეკონომიკის ახლადდანიშნულმა მინისტრმა ლაშა შვანიამ
2. ბათუ ქუთელიამ, თავდაცვის მინისტრის ყოფილმა მოადგილემ და აშშ-ში საქართველოს ახალმა ელჩმა შეერთებულ შტატებთან საქართველოს სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების მნიშვნელობაზე ისაუბრა
3. სტრატეგიული კვლევების ექსპერტმა დევიდ სმიტმა ასევე შეაჯამა ორ ქვეყნას შორის ურთიერთობის პერსპექტივები ახალი ხელშეკრულების დადების პირობებში

**მესამე, 24 დეკემბერს** გასულ გადაცემაში:

1. ყოფილი პარლამენტის თავმჯდომარე და ახალი ოპოზიციური გაერთიანების ლიდერი ნინო ბურჯანაძე ქუთაისიდან პირდაპირ ჩართვაში პასუხობდა კითხვებს აგვისტოს მოვლენების შედეგად შექმნილ ვითარებაზე, საკუთარ პასუხისმგებლობაზე ხელისუფლებაში და ოპოზიციაში ყოფნისას და ასევე სამომავლო გეგმებზე
2. აგვისტოს მოვლენებისას უშიშროების საბჭოს მუშაობის ეფექტურობაზე და გაეროში მომავალ მოღვაწეობაზე გადაცემის სტუმარი იყო ალექსანდრე (კახა) ლომაია
3. ექსპერტებმა გიგა ზედანიამ და ზვიად ქორიძემ შეაფასეს ხელისუფლების და ოპოზიციის როლი დღევანდელი მდგომარეობაში

**მეოთხე, 14 იანვარს** გასულ გადაცემაში:

1. ``Freedom House``-ის მიერ გამოქვეყნებული კრიტიკული ანგარიშის შესაფასებლად და საქართველოს საერთაშორისო იმიჯზე სასაუბროდ მოწვეული იყო პარლამენტის წევრი გიორგი (გოკა) გაბაშვილი

2. განახლებული საზოგადოებრივი მაუწყებელი საზოგადოების გარკვეული ჯგუფების კრიტიკის საგანი გახდა. ჟურნალ „ცხელი შოკოლადის“ რედაქტორი შორენა შავერდაშვილი და ისტორიკოსი და გერმანისტი ლაშა
3. ბაქრაძე აკრიტიკებდნენ პირველი არხის გადაცემების ახალ ბადეს. მათ შენიშვნებს პასუხობდა მაუწყებლის გენერალური დირექტორი ლევან ყუბანეიშვილი

**მესუთე,** 21 იანვარს გასული „აქცენტები“ მთლიანად მიეძღვნა საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემა „დიდი ათეულის“ ირგვლის განვითარებულ მოვლენებს. ვინ ახორციელებს ზეწოლას საზოგადოებრივ მაუწყებელზე და ვინ არღვევს კანონს და საბოლოოდ, როგორ სახლემწოფოში გვსურს ცხოვრება-სეკულარულსა თუ თეოკრატიულში, ამაზე სასაუბროდ მოწვეულნი იყვნენ:

გია ნოდია-პროფესორი

ლაშა ბუღაძე-მწერალი

რევაზ ჩხეიძე-კინორეჟისორი

მიხეილ ჭიაურელი-საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

რეჟისორი

რატი ამადლობელი-პოეტი

დაჩი გრძელისშვილი-„დიდი ათეულის“ ავტორი და წამყვანი

## რადიო

2008 წლის ოქტომბერი-ნოემბერი-დეკემბერი

### ოქტომბერი

#### რადიოსპექტაკლები

ეთერში გავიდა ახალი რადიოსპექტაკლი – თეონა დოლენჯაშვილის „სიჩუმის სამი ნაპირი“. მონაწილეობენ: ნიკა წერეთლიანი, ლილი ხურთი, მარიამ ჯოლოგუა. ამავე დროს, აღდგენილია ოტია იოსელიანის „მეწისქვილის ქალიშვილი“ და „ცეცხლთან თამაში“. ორივე სპექტაკლი ჩაწერილია 1964 წელს. მონაწილეობენ: სოფიკო ჭიაურელი, მალხაზ გორგილაძე, ბუხუტი ზაქარიაძე, გრიგოლ კოსტავა, ნოდარ მგალობლიშვილი, გიზო სიხარულიძე, ეთერ სიხარულიძე.

#### ტრანსლაცია

**24 ოქტომბერს** რადიოს პირდაპირ ეთერში ეროვნული მუსიკალური ცენტრიდან ტრანსლაცია განხორციელდა – სიმფონიური მუსიკის სეზონის გახსნა. მონაწილეობდნენ სოლისტი ხატია ბუნიათაშვილი და ევგენი მიქელაძის სახელობის სიმფონიური ორკესტრი ნიკა მემანიშვილის დირიჟორობით.

### ნოემბერი

#### რადიოსპექტაკლები

ნოემბერში შედგა ერნესტ ჰემინგუეის “ ინსცენირებული ნოველების“ რადიოპრემიერა. მონაწილეობენ: გივი ჩუგუაშვილი, რევაზ თავართქილაძე, პაატა ვახტანგიშვილი, ნანა ხურთი, ნიკა წერეთლიანი, სანდრო ჯანგირაშვილი. ამავე დროს, აღდგენილია ანტონ ჩეხოვის „დათვი“, რომელიც ჩაწერილია 1957 წელს. მონაწილეობენ ვერიკო ანჯაფარიძე და ვასო გოძიაშვილი.

#### ერთობლივი პროექტები

ყოველდღიური თოქ-შოუს „ღია სტუდიის“ ოთხი გამომშვება დაეთმო ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და აშშ განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით მომზადებულ პროექტს „საკანონმდებლო სიახლეები და პრაქტიკა“. გაშუქდა ბოლო პერიოდში მიღებული კანონები, ცვლილებები საკანონმდებლო აქტებში და რეალურ ცხოვრებაში მათი დანერგვის პროცესი. პირდაპირ ეთერში გადაიცა ოთხი გამომშვება თემებზე: განქორწინება, შვილად აყვანა, საკუთრების ლეგალიზება, სახელმწიფო პენსია.

### დეკემბერი

#### რადიოსპექტაკლები

დეკემბერში შედგა ოტია პაჭკორიას „გობელენის“ რადიოპრემიერა. მონაწილეობენ ზურაბ ცინცკილაძე, ზინა კვერენჩილაძე, ლამზირა ჩხეიძე, რევაზ თავართქილაძე, ნიკა წერეთლიანი. ამავე დროს, აღდგენილია 1956 წელს ჩაწერილი ვიქტორ ჰიუგოს

„ანუელო“. მონაწილეობენ: ვერიკო ანჯაფარიძე, სალომე ყანჩელი, ელენე ყიფშიძე, კაკი ვასაძე, გიორგი გეგეჭკორი, ტარიელ საყვარელიძე, ოთარ მელვინეთუხუცესი.

## ერთობლივი პროექტები

ფონდის „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“ თანადგომით „ღია სტუდიის“ ფორმატით მომზადდა გადაცემათა ციკლი “ფსიქიკური ჯანმრთელობა და ადამიანის უფლებები“. ეთერში გავიდა ოთხი გადაცემა თემებზე: ფსიქიკური ჯანმრთელობა და შეზღუდული შესაძლებლობები; ადამიანის უფლებათა დაცვის მსოფლიო დღე და ქართული რეალობა; ბიოეთიკა და ადამიანის უფლებები; იძულებით გადაადგილებულ პირთა ფსიქიკური ჯანმრთელობა.

## zRapari

გადაცემისთვის “იყო და არა იყო რა” ჩაიწერა საბავშვო მწერლის ბონდო მაცაბერიძის ახალი ზღაპარი “ბექნა ბიჭის ზღაპარი”.

## translaciebi

**20 dekembers** Sedga translacia pianist saSa korsantias koncertisa konservatoriis didi darbazidan.

**30 dekembers** Sedga translacia konservatoriis didi sakoncerto darbazidan. gadaica saaxalwlo musikaluri Sexvedrebi.

## ნაციონალური პროექტი

### 2008 წლის ოქტომბერი-ნოემბერი-დეკემბერი

#### ზოგადი მიზნები :

გადაცემების ძირითადი ამოცანაა ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებში ნდობის აღდგენა. უნდობლობის, გაუცხოების აღმოფხვრა ეროვნული უმრავლესობის მიმართ. რეალურ მაგალითებზე დაყრდნობით, უმრავლესობასთან მათი თანაბარი მოქალაქეობრივი უფლება-მოვალეობების ჩვენება. ობიექტური ინფორმაციის მიწოდება ქვეყანაში განვითარებული მოვლენების შესახებ.

გადაცემებში ხდება კონფლიქტური სიტუაციების რეალური და მრავალმხრივი ანალიზი ყველა მხარის მონაწილეობით. ფართოდ შუქდება არაქართველი ცნობილი ადამიანების ქვეყნის წინაშე დამსახურება და ხდება მომავალი თაობისთვის რეალური პერსპექტივების ჩვენება. პროგრამების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ეთნიკური უმცირესობების ისტორიული ღირსებისა და რელიგიური აღმსარებლობის დაცვა.

#### გადაცემების ფორმატი:

გადაცემები მზადდება ხუთ ენაზე (აფხაზური, ოსური, სომხური, აზერბაიჯანული, ქურთული, რუსული) და თითოეული მათგანი ეთერში კვირაში ერთხელ გადის 26-წუთიანი ქრონომეტრაჟით. გარდა ამისა, აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს

პირველი რადიოს ეთერით ყოველდღიურ 5-წუთიან საინფორმაციო გამოშვებებს თითოეულ ენაზე და ყოველკვირეულ რადიო-ხილს, - თბილისი-ერევანი; თბილისი-ბაქო. (ქრნ.50წთ) ასევე, ყოველ კვირას პირველი რადიოს ეთერით გადის ქურთულენოვანი გადაცემა (ქრნ.20წთ) კვირის მნიშვნელოვანი მოვლენებითა და მუსიკალური ჩართვით. კვირა დღესვე პირველი რადიოს ეთერში გადის 40 წუთიანი რუსულენოვანი პროგრამა, რომელიც რამდენიმე ბლოკისგან შედგება .

სატელევიზიო გადაცემები შედგება ორი ნაწილისგან. პირველი ნაწილი საინფორმაციო ხასიათისაა და კვირის მანძილზე განვითარებულ ძირითად სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებს ასახავს (ქრნ. 10წთ). მეორე ნაწილი კი რამდენიმე რუბრიკისგან შედგება

( პრობლემა, მთავარი თემა, რეგიონი, ხალხის ხმა, ცნობილი ადამიანები, ახალგაზრდობა)

და , ძირითადად, სოციალური და საგანმანათლებლო ხასიათისა

#### დეტალური მიმოხილვა

პირველი რადიოს ეთერში ყოველდღიურად მზადდებოდა საინფორმაციო გამოშვებები აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ქურთულ და რუსულ ენებზე (ქრნ. 5წ.)

რადიო-გამოშვებებში სრულად აისახებოდა მიმდინარე დღის მთავარი მოვლენები.

ყოველკვირეულ გადაცემების (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) პირველ ბლოკში (10წთ) მთლიანად აისახებოდა მიმდინარე კვირის მთავარი მოვლენები .

მთავარ ბლოკში ( 15წ. ), ასევე, გაშუქებული იყო შემდეგი თემები:

#### აფხაზური –

გუდაუთელმა ოჯახმა საკუთარი ინიციატივით, მომართა საქართველოს ხელისუფლებას, დახმარებოდა, რათა მათი სამი თვის ბავშვისთვის თბილისში

ოპერაცია გაკეთებინათ. 3 თვის ასტან ბენიას გულის უნიკალური ოპერაცია გაუკეთდა. მომზადდა რეპორტაჟი როგორც საავადმყოფოდან , ისე ოპერაციის შემდგომ პერიოდზე. ( გადაიკა რუსულენოვან გადაცემაში)

საქართველოს ხელისუფლება კონფლიქტური რეგიონების ეკონომიკური რეაბილიტაციის გეგმას ამზადებს . კოდორისა და აჭარის მაგალითზე მომზადდა სიუჟეტი,- რა დროში და რა რესურსებით მოხდება გეგმის განხორციელება. ( გადაიკა რუსულენოვან გადაცემაში)

ქუთაისში კომპაქტურად ცხოვრობენ აფხაზეთიდან დევნილები. მათი უმრავლესობა შერეული ოჯახია. მომზადდა სიუჟეტების სერია, როგორც სოციალურ ისე ტოლერანტობის თემაზე.

მომზადდა სიუჟეტების სერია სახალხო დიპლომატიის თემაზე.

გაგრძელდა აფხაზური წარმოშობის ცნობილი ადამიანების პორტრეტების მომზადება, რომელთაც დვაწლი მიუძღვით ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში.

მომზადდა სერია თემაზე: კულტურული ურთიერთობები - კონფლიქტების მოგვარების საუკეთესო გზა.

## ოსური

მომზადდა სიუჟეტების სერია,- რა პრობლემები აქვთ ოსებს ცხინვალის რეგიონში..

საქართველო-რუსეთის ომის დროს დევნილი მოსახლეობისთვის აშენდა დასახლებები, მომზადდა რეპორტაჟები,- როგორ ცხოვრობენ დევნილები და იმელები აქვთ.

მომზადდა სიუჟეტები თემაზე ,- სამაჩაბლოდან ვლადიკავკაზში დევნილი მოსახლეობის პრობლემები.

ომის შემდეგ ოსები ძველებურად მშვიდად აგრძელებენ საქართველოში ცხოვრებას. მომზადდა სერია ოსურ ოჯახებზე სხადასხვა რეგიონებიდან.

მომზადდა სიუჟეტი თემაზე, - თბილისის მე-11 საშუალო სკოლაში ოსებთან ერთად ქართველებიც აქტიურად სწავლობენ ოსურს.

მომზადდა სიუჟეტები შერეულ ოჯახებზე

## სომხური

სპიტაკის ტრაგედიიდან 20 წელი გავიდა, ჩვენი გადამღები ჯგუფი ჩავიდა სომხეთში და ვრცელი სიუჟეტი მოამზადა. ( გადაიკა რუსულენოვან გადაცემაში)

სამცხე-ჯავახეთში ისევ დგას კარტოფილის გასაღების პრობლემა .

კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში სომეხი ეროვნების ახალგაზრდები ქართულს აქტიურად სწავლობენ.

გრძელდებოდა სოციალური სიუჟეტები რეგიონებიდან. მარნეულის რ-ნის სოფლებს წყლის პრობლემა ჯერჯერობით ვერ ეხსნება.

მარნეულის რ-ნის საზღვრისპირა სოფელ ჩანახჩი, მრავალ პრობლემასთან ერთად, საშუალო სკოლის შენობის საკითხიც მოუგვარებელი აქვს. შენობის ნაცვლად გაკვეთილები ჩამოწერილ ვაგონებში ტარდება. განათლების სამინისტრო პრობლემის უახლოესს მომავალში აპირებს. ( გადაიკა რუსულ გამოშვებაშიც)

ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მოსალეობის მაგალითზე მომზადდა სიუჟეტი ქართულ საზოგადოებაში ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციის თემაზე. ( გადაიკა რუსულ გამოშვებაშიც)

გაგრძელდა ციკლი საქართველოში მცხოვრებ გამოჩენილ სომეხ ადამიანებზე.

საბავშვო ევროვიზიის ფინალის სომეხ მონაწილეები თბილისში ჩამოვიდნენ და კონცერტები გამართეს. მომზადდა რეპორტაჟი მათი გასტროლების შესახებ.  
გადაცემებში სისტემატურად შექდებოდა რელიგიური დღესასწაულები.  
მომზადდა ციკლი საქართველოში მცხოვრებ გამოჩენილ სომეხ ადამიანებზე.

### **აზერბაიჯანული**

გაგრძელდა სოციალური სიუჟეტების მომზდება რეგიონებიდან.  
წყლის პრობლემა მარნეულში  
მწვემსების პრობლემები საძოვრებზე.  
მომზადდა სიუჟეტები დასაქმების თემაზე.  
აზერბაიჯანულ მოსახლეობისთვის განსაკუთრებით მწვავედ დგას გენდერული პრობლემა ,მომზადდა ვრცელი სიუჟეტი ამ თემაზე.  
გადაცემებში სისტემატურად შექდებოდა რელიგიური დღესასწაულები.  
მომზადდა ციკლი საქართველოში მცხოვრებ გამოჩენილ აზერბაიჯანულ ადამიანებზე.

### **რუსული გამოშვება**

მომზადდა სიუჟეტების ციკლი ცხინვალის რეგიონიდან,-კოკოითის კონტროლირებად ოსურ სოფლებში არაფერია ცივილიზაციის მანიშნებელი,  
ოსურ სოფლებში სკოლები არ ფუნქციონირებს,  
მომზადდა რეპორტაჟი აჭარიდან, მაჰაჯირების სოფელი.  
მომზადდა სიუჟეტები თემებზე,- არაქართული მოსახლეობა ქართულს სწავლობს;  
სისტემატურად ვრცლად შექდებოდა რელიგიური დღესასწაულები.

# საბავშვო მიმართულება 2008 წლის ოქტომბერი-ნოემბერი-დეკემბერი

## ოქტომბერი

საბავშვო ტელეგადაცემები ეთერშია მხოლოდ გამეორების რეჟიმში.

ვემზადებით **საბავშვო ევროვიზიისთვის**: შეიქმნა 6 მუსიკალური ჯგუფი: პატრიოტები, ბაფთიანი გიტარები, შატალო, კრიმანჭული, ბზიკები, შეირჩა 3 სოლისტი სოფო სააკაშვილი, მარიამ კახელიშვილი და ია ორჯონიკიძე. რომლებმაც **ექსტრა** ჯგუფის მოცეკვავეებთან ერთად მოამზადეს შიდა შესარჩევი ტურისთვის ორგინალური სიმღერები. დამზადდა დეკორაცია, მომზადდა გრაფიკული ფონები. შიდაშესარჩევმა ტურმა ჩაიარა წარმატებით.

ჟიურისა და მოსახლეობის ერთობლივი გადაწყვეტილებით ავირჩიეთ ჯგუფი ბზიკები, რომელმაც წარმატება მოგვიტანა კიპროსზე. შიდა შესარჩევი ტურის შემდეგ დამზადდა მუსიკალური კლიპი, საიმპიჯო კოსტუმები და სხვა სარეკლამო ნივთები, რომლებმაც საბოლოო ჯამში მიგვიყვანა წარმატებამდე.

## ნოემბერი

საბავშვო ტელეგადაცემები ეთერშია მხოლოდ განმეორების რეჟიმში.

ვემზადებით ახალი ეთერისათვის. მომზადდა სატენდერო წინადადებები. საეთეროდ ემზადება სამი ახალი პროექტი: სიზმარვიზია – ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, რომელმაც უნდა ჩაანაცვლოს ბაბილინა. ეს გადაწყვეტილება მივიღეთ იმის გამო, რათა გაგვეფართოვებინა სამიზნე ჯგუფი.

ბაბილინა გამიზნული იყო სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის, სიზმარვიზია კი განისაზღვრა ოჯახური ჩვენებისათვის. ბაბილინა, რომელიც წარმატებული ბრენდი იყო არსზე გადავიდა კვირა დღის სეგმენტში და დაიკავა საათნახევრიანი ზოლი. ამ გადაცემამ მიიღო საკვირაო სკოლის ფორმა. შაბათი დღის განისაზღვრა შედარებით მაღალი ასაკობრივი ჯგუფისათვის – ეს არის დაწყებითი სასკოლო ასაკი. შემეცნებით გასართობი პროგრამა, რომელსაც ჰქვია სტუდია ბასტიბუბუ, ბავშვებს ხალისით აავსებს და სტიმულს მისცემს ცეკვა სიმღერით შეიმეცნონ ბევრი რამ.

ასევე შაბათ-კვირის დღის ზოლისთვის დაიგეგმა სეზამის ქუჩის გადაცემები. რომლის დუბლირებაც დაევალა ჯგუფს – **ნიუ არტ ვიდეო**.

ინგლისურის გაკვეთილები და ელმოს ქვეყანა, რომელიც სკოლამდელი ასაკისთვის არის, ჩაჯდა ბაბილინასთან ერთად კვირას დღით.

გლობალ გროვერი – ანუ მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო და ითამაშე ჩვენთან ერთად დაიგეგმა შაბათის ზოლისთვის.

ყოველდღიური შუადღის ზოლისთვის ბეტმენის სერიალი ავარჩიეთ

ნოემბრის თვეში მოვიპოვეთ დიდი გამარჯვება ევროპის მაუწყებელთა კავშირის დიდ კონკურსზე – ევროვიზია ჯუნიორზე.

## დეკემბერი

**სიზმარვიზია** – რთული და უაღრესად საჭირო გადაცემაა საქართველოსთვის.

ვიწყებთ ქართული საბავშვო ანიმაციის აღორძინებას, რომელიც ბოლო 20 წელია აღარ არსებობს.

**საქართველოს ანიმაციურ სტუდიაში** იქმნება 3დე ორი გმირი, რომელიც სავარაუდოდ ბავშვების საყვარელი გმირები უნდა გახდნენ.

ასევე **ბასტიბუბუს ჯგუფთან** გაიხსნა ფლემ ანიმაციის ჯგუფი, რომლებიც ამზადებენ ყოველდღიურ ზღაპრებს

ასევე კონკურსის შედეგად შეირჩნენ მეზღაპრეები, რომლებიც კონკრეტული ოჯახებიდან და ბავშვებიდან გამომდინარე ქმნიან თანამედროვე ზღაპრებს.

სკოლებში შეიქმნა ჯგუფები, სადაც ბავშვები ანალიზებენ თითოეულ გადაცემას და საკუთარ ამბებს უგზავნიან გოგინას და სონიკს.

გადამღები ჯგუფი მიდის სხვადასხვა რეგიონებში და იქიდან გვაცნობს ოჯახებს. კახეთი, იმერეთი ეს ორი რეგიონი დაიგემა.

ოჯახური სიმღერები – ეს არის ქალაქური სიმღერები, რომლებიც პოპულარულია მაყურებელთა შორის. ამ პროექტის მაშტაბით დავრწმუნდით, რომ საქართველოში ყველა მღერის. გადაცემის ის ნაწილი, სადაც ოჯახი მღერის განსაკუთრებით პოპულარულია მაყურებელთა შორის. ჟგუფი ცდილობს, რომ კვირის განმავლობაში იყოს ცნობილი ოჯახებიც და ნაცნობი და პოპულარული ოჯახებიც.

სხვადასხვა ოჯახის ისტორიები – ეს ის თემაა, რომელიც მიმზიდველს ხდის ტელესერიალებს. ჩვენს გადაცემაშიც მაყურებელს აქვს საშუალება შეიხედოს სხვადასხვა ოჯახში და გაიცნოს მისთვის უცნობი თუ ნაცნობი ოჯახი,

ზღაპრად ქცეული სინამდვილე – ეს არის ზღაპარი, რომელიც რეალურ ისტორიაზეა დაყრდნობილი. ფსიქოლოგების ჯგუფი მუშაობს იმაზე, რომ სწორად შეირჩეს ზღაპრის თემა და ის სათქმელი, რაც აქვს ამ ზღაპარს. ხატვები ხატავენ ფლემ ანიმაციისთვის ორგინალურ ნახატებს, რომელზეც მაგრდება რეალური ადამიანების ფოტოები.

სიზმარეზიის პროექტი მზადდება პრიჟონესის საბავშვო ტელეგადაცემების საერთაშორისო ფესტივალზე წარსადგენად.

### **სტუდია – ბასტი ბუბუ**

გადაცემის წამყვანია ახალგაზრდა მსახიობი გიორგი ქათამიძე, რომელმაც შექმნა სტუდიის დირექტორის საინტერესო ტიპაჟი.

აზრზე მომყვანი ცეკვები, ანუ დილის გამახალისებელი ცეკვები, სიმღერის გაკვეთილები, შოუ ნომრები, კომპოზიტორებთან და მომღერლებთან შეხვედრები და სეზამის ქუჩის მხიარული გმირები მთელი დღით დადებითად დამუხტავენ მაყურებელს

### **ბაბილინას საკვირაო სკოლა**

სკოლამდელი ასაკის ბავშვები საუბრობენ ბაბილინასთან მათთვის საინტერესო თემებზე, მღერიან, თავისი ხელებით აკეთებენ ნივთებს, სწავლობენ სიმღერებს და ცეკვებს. ასევე სეზამის ქუჩის გმირებთან ერთად მაყურებელი სწავლობს ინგლისურს და ელმოსთან ერთად იგებენ სხვადასხვა ნივთების სახელებს და განსაზღვრებებს.

### **პრობლემები:**

ორი თვის ანალიზის შედეგად გამოვლინდა პრობლემები:

1. არ არის საკმარისი ანონსირება გადაცემების – ეს პრობლემა მუშავდება პროგრამების დირექციაში
2. ქალაქში არ არის პირველი არხის საბავშვო პროგრამების არც ერთი ბანერი. არადა, საზოგადოებრივ არხს პრიორიტეტში უნდა ჰქონდეს ბავშვისთვის სასარგებლო პროექტების წარმოება.
3. არხის სხვადასხვა გადაცემებში არ მოხდა საბავშვო გადაცემების ანონსირება, სადაც საბავშვო გადაცემების ავტორებს და წამყვანებს მიეცემოდათ საშუალება მშობლებს და ბავშვებს აუხსნან ახალი გადაცემების მნიშვნელობა და მოყვნენ რამხელა შრომა დევს ამ პროექტებში.

## საბავშვო ევროვიზია

2008 წლის ოქტომბერი-ნოემბერი-დეკემბერი

6 ნოემბერს პირველი არხის პირველ სტუდიაში გაიმართა საბავშვო ევროვიზიის ფინალი, რომელშიც მონაწილეობას იღებდა, 9 საბავშვო ჯგუფი, კონცერტამდე ორი თვის განმავლობაში მათან ყოველდღიურად მიმდინარეობდა რეპეტიციები, როგორც სიმღერაში ასევე ქორეოგრაფიაში. შეიკერა სპეციალური კოსტიუმები და დამზადდა დეკორაცია. ცხრავე ჯგუფი ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული იყო.

ჟიურის და ესემესების გადაწყვეტილებით კონკურსის გამარჯვებულად დასახელდა ჯგუფი “ბზიკები”, კონკურსის ყველაზე პატარა მონაწილეებმა, მარიამ თათუაშვილმა, მარიამ კიკუაშვილმა და გიორგი შიოლაშვილმა ჟიურის და მაყურებლის ყველაზე მეტი მოწონება დაიმსახურეს.

თბილისში გამარჯვების შემდეგ, ბავშვებმა უკვე მომზადება დაიწყეს კვიპროსისთვის, შეიკერა სპეციალური კოსტიუმები, დამზადდა პრომო აქციებისთვის ქუდები, დროშები და დისკები. ბავშვები გადიოდნენ ფსიქო ტრენაჟს, ასევე ემზადებოდნენ ინგლისურში. გადაღებული იქნა ბზიკების სიმღერაზე “ბზზზ” კლიპი, რომელიც ნახევნები იქნა, 15 ქვეყანაში, რომლის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ საბავშვო ევროვიზიაზე.

12 დეკემბერს კი ქართული დელეგაცია გაემგზავრა კიპრზე, 9 დღის განმავლობაში ღიმასოლში ქართველი პატარები ატარებდნენ კონცერტებს, მონაწილეობდნენ სხვადასხვა სატელევიზიო გადაცემებში.

წლევიანდელ საბავშვო ევროვიზიაზე, რომელშიც 15 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა ესემესების გარდა გამარჯვებულს კომპეტენტური ჟიურიც ასახელებდა. ჟიურიმ და მაყურებელმა გამარჯვებულად ქართული ჯგუფი ბზიკები დაასახელა.

შაბავსო ევროვიზიის ქართველი გამარჯვებულები მომავალ წელს მონაწილეობას ევროვიზიაზე ისევ მიირებენ, ოღონდ ამჯერად უკრაინას სადაც ფინალი გაიმართება ისინი სტუმრის სტატუსით ეწვევიან.

თბილისში დაბრუნების შემდეგ ჯგუფზე გაკეთდა სპეციალური ფილმი, ასევე პირველი არხისგან ბავსებმა მიიღეს საჩუქრები.

საბავშვო ევროვიზიაზე საქართველო უკვე მეორედ მონაწილეობდა, 2007 წელს მარიამ რომელაშვილმა მეოთხე ადგილი დაიკავა.

### დიდების ევროვიზია

დიდების ევროვიზიაზე საქართველო უკვე მესამედ მიიღებს მონაწილეობას, ფინეთის და ბელგრადის შემდეგ ქართველი კონკურსანტი უკვე მოსკოვში გაემგზავრება.

17 იანვარს გამოცხადდა დიდების ევროვიზიის შიდა შესარჩევი კონკურსი, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ყველა პროფესიონალ მომღერალს. შაბუტების მიღება გაგდებლდება 5 თებერვლამდე, ხოლო კონცერტი გაიმართება თებერვლის შუა რიცხვებში. გამარჯვებულს გამოავლენს ჟიური, ასევე იქნება ესემესებიც.

გამარჯვებულ სიმღერას გაუკეთდება ხელახალი არანჟირება, გაკეთდება ახალი სცენოგრაფია და გადაღებული იქნება კლიპი. ასევე მომზადდება გადაცემები და სიუჟეტები.

მუსიკალური მიმართულება

2008 წლის ოქტომბერი-ნოემბერი-დეკემბერი

04.10.08	ბიორკი	0'58
05.10.08	შემოდგომის თბილისი 2007	1'13
11.10.08	კარლო საკანდელიძის ვარსკვლავის გახსნა	1'03
12.10.08	“დონ კოხოტი”	1'14 0'27
14.10.08	“ის რაც ვიწამე” პატრიარქი (ოპერიდან) 2007	1'27
18.10.08	დაიანა კროლი	0'50
25.10.08	მუსიკალური შესვენებები ნია ბახტაძესთან ერთად	1'28
25.10.08	ნიკა მემანიშვილი (სომეხონიური მუსიკა)	1'12
26.10.08	ოთარ რამიშვილის საღამო	0'53
01.11.08	ა. ბალანჩივაძე №1 სიმფონია	0'47
02.11.08	“ფენდერ სტრატოკასტერის” იუბილე	0'58
08.11.08	ლუჩიანო პავაროტი (დოკუმენტური)	1'00
09.11.08	დევიდ ბოუვი	1'12
15.11.08	სულხან ნასიძის ნაწარმოებები (დირ. ვ კახიძე)	1'05
16.11.08	ეტა ჯეიმსი	0'53
23.11.08	ნანი ბრეგვაძე ოპერაში	1'08
23.11.08	ქართული ხმები 2007 (კონსერვატორია)	1'04
07.12.08	ტანია მარია (ბათუმი 2008)	1'47
14.12.08	რიშარ გალიანო ოპერაში “მუდამ პიატოლა”	1'48
21.12.08	ნინო ქათამაძე (არტ-გენი-2006)	1'04
28.12.08	მსოფლიო მუსიკალური დაჯილდოება	

## “კაბარე 5 ვარსკვლავი”

2008 წლის ოქტომბერი-ნოემბერი-დეკემბერი

### სტუმრები:

1. 06.12.08 მომღერალი – ნინი ბადურაშვილი
2. 07.12.08 მომღერალი – ბუბა კიკაბიძე
3. 13.12.08 მომღერალი – მაია ბარათაშვილი  
მსახიობი – დათო დარჩია
4. 14.12.08 მომღერალი – თიკა ჯამბურია  
მსახიობი – თემიკო ჭიჭინაძე
5. 20.12.08 მომღერალი – ნინი შერმადინი  
მსახიობი – ბესო ზანგური
6. 21.12.08 მომღერალი – ანრი ჯოხაძე
7. 27.12.08 მომღერალი – ლელა წურწუშია
8. 28.12.08 მომღერალი – სალომე კორკოტაშვილი  
მსახიობი – ლევან ბერიკაშვილი

## სპორტული მიმართულების ანგარიში 2008 წლის ოქტომბერი-ნოემბერი-დეკემბერი

ოქტომბრიდან დეკემბრის ბოლომდე სპორტული მიმართულება პირველი არხის ეთერში 45 სპორტული რეპორტაჟითა და 15 გადაცემით გავიდა ეთერში.

ოქტომბერში “მედია კომპანია კოლხიდასა” და პირველი არხის ერთობლივი პროექტით პირდაპირი ეთერით გადაიდა ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის ტურის ცენტრალური 8 შეხვედრა. რეპორტაჟები მოეწყო თბილისიდან, რუსთავიდან, გორიდან, ბოლნისსა და ზესტაფონიდან. გარდა ამისა, ეთერში გადაიდა საფეხბურთო თოქ-შოუ “გოლის” 4 გადაცემა, რომელიც მზადდებოდა “მედია კომპანია კოლხიდას” ბაზაზე.

გადაცემაში საუბარი იყო მიმდინარე საქართველოს ჩემპიონატზე და ქართულ ფეხბურთში არსებულ პრობლემებზე. ასევე, პირველი არხის ეთერით გადაიდა ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩები საქართველო-კვიპროსსა და საქართველო ბულგარეთს შორის.

ტრადიციულად, პირველი არხი აგრძელებს საკალათბურთო რეპორტაჟების ტრანსლირებას. მოეწყო ევროპის საკლუბო ტურნირების შეხვედრის პირდაპირი რეპორტაჟი “ენერჯი-ინვესტისა” და “სუმინიპრომის” გუნდების მონაწილეობით. გარდა ამისა, გადაიდა საქართველოს ჩემპიონატის ტურის ცენტრალური შეხვედრების ორი რეპორტაჟი.

ნოემბერში რეპორტაჟების რაოდენობა მეტი იყო გასულ თვესთან შედარებით. კერძოდ, ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის ტურის ცენტრალური შეხვედრების 10 პირდაპირი ტრანსლაცია, რომელიც ასევე, საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან მოეწყო. ასევე, გადაიდა საქართველოს თასის გათამაშების მეოთხედ ფინალური შეხვედრა.

პირველმა არხმა ასევე, ეთერი დაუთმო ფეხბურთში რუმინეთისა და საქართველოს ამხანაგური მატჩის პირდაპირ რეპორტაჟს.

კონტრაქტის თანახმად, საზოგადოებრივი მაუწყებლის სადამოს ეთერში ოთხჯერ გავიდა საფეხბურთო თოქ-შოუ “გოლი”, რომელმაც კვლავ დიდი ყურადღება დაუთმო საფეხბურთო ჩემპიონატის მიმოხილვებს, ასევე, ბავშვთა ფეხბურთს და უცხოეთში მოთამაშე ქართველ ლეგიონერებს.

ნოემბერში პირველი არხის ეთერით გადაიდა რაგბიში საქართველოს ჩემპიონატის ფინალური შეხვედრა და ასევე, შოტლანდიიდან ამ ქვეყნისა და საქართველოს ნაკრებების ამხანაგური შეხვედრა.

ტრადიციულად, ყოველ კვირა დღეს ეთერი ეთმობოდა კალათბურთში საქართველოს ჩემპიონატის სუპერ ლიგის ტურის ცენტრალურ შეხვედრებს.

დეკემბერში სპორტული რეპორტაჟების რაოდენობამ 14 შეადგინა. მიუხედავად რთული მეტეოროლოგიური პირობებისა, მოხერხდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის მატჩების პირდაპირი რეპორტაჟები.

აღსანიშნავია, რომ დეკემბრიდან “მედია კომპანია კოლხიდას” და საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთობლივი პროექტი საფეხბურთო თოქ-შოუ “გოლი” პირველი არხის ნომერ პირველ სტუდიაში გადმოვიდა და 23:00 საათიდან იგი პირდაპირ ეთერში გადაიცემა. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ითავა თოქ-შოუს სტუდიის დეკორაციის მოწყობა და საკუთარი ტექნიკური პერსონალით მომსახურება. უნდა ითქვას, რომ ამ ფორმატით თოქ-შოუმ გაცილებით მეტი მაყურებელი მოიზიდა, რასაც ისიც ადასტურებს რომ პირდაპირ ეთერში არ წყდება მაყურებელთა სატელეფონო ზარები და ასობით მოკლე ტექსტური შეტყობინება. გარდა ამისა, სტუდიაში მოწვეული სტუმრები და აუდიტორიის დებატები ამა თუ იმ მწვავე საკითხზე უფრო საინტერესოს ხდის გადაცემას. დეკემბერში ასევე გავიდა ტენდერში გამარჯვებული “თი-ბი-სი ტი-ვის” გადაცემა ავტომოყვარულთათვის “ტრანს-მისია”, რომელიც ყოველ კვირა დღეს ეთერშია 11:15 წუთიდან. გადაცემა ტელემაყურებელს აცნობს ამა თუ იმ მარკის ავტომობილს, მის საიმედოობას და ავ-კარგიანობას. იძლევა ავტომოყვარულთათვის საინტერესო თემებზე პასუხებს. ასევე, აწყობს კონკურსებს ცნობილ სახეებს შორის მანქანის ოსტატურად ტარებაზე. მიუხედავად ამისა, გადაცემის მიმართ სპორტული მიმართულების მიერ გამოთქმული იყო შენიშვნები, რომელთა გამოსწორება ეტაპობრივად მოხერხდა. პირველი არხის ეთერში კვირაობით 16:15 წუთიდან პირდაპირ ეთერშია კალათბურთში საქართველოს ჩემპიონატის სუპერ ლიგის ცენტრალური შეხვედრები. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ეთერი დაუთმო რაგბიში საქართველოს თასის ფინალურ შეხვედრას, რომელმაც გულშემმატკივართა შორის მოწონება დაიმსახურა.

ასეთი გახლდათ სპორტული მიმართულების მიერ მომზადებული წლის ბოლო სამი თვის რეპორტაჟები და გადაცემები.

## კინომიმართულება

2008 წლის ოქტომბერი-ნოემბერი-დეკემბერი

კინოპროგრამების მიმართულება 2008 წლის მეოთხე კვარტალში აგრძელებს კომპანია **CENTRALPARTNERSHIP** – თან ერთად, კომპანია **WORNER BROS.**-ის და კომპანია **GALA MEDIA**-ს ფილმების ჩვენებას. ყოველდღე, განახლებულ ეთერში, მაყურებელს ვთავაზობთ უანრობრივად მრავალფეროვან ამერიკულ და ევროპულკინოპროდუქციას. კვირაში ორი დღე, პარასკევი და შაბათი, ეთმობა მსოფლიო ჰიტების და პრემიერების ჩვენებას. ასევე, ყოველ შაბათს ვაჩვენებთ ქართულ მხატვრულ ფილმებს.

მეოთხე კვარტალში დამთავრდა სერიალები: 19:00 სთ.-ზე, კანადური „გზა ავონლესკენ“, 18:25 სთ.-ზე ფრანგული - „ცხოვრება მშვენიერია“ და 21:00 სთ.-ზე იტალიური - „ცხოვრება“. ასევე დამთავრდა შაბათ-კვირას 19:00 სთ.-ზე ახალგაზრდული ფრანგული სერიალი „სიყვარულის არდადეგები“ და კვირას 22:00 სთ.-ზე ისტორიული დრამატული სერიალი „მარია ანტუანეტა“.

დეკემბრის თვიდან, პირველი არხის განახლებულ ეთერში, დაიწყო ახალი ამერიკული და ლათინო-ამერიკული სერიალების ჩვენება.

ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, დღის 10:00 სთ.-ზე ეთერში გადის **GLOBO TVINTERNATIONAL**-ის პროდუქცია, რომანტიკული კომედია „შიდი ცოდვა“.

პრაიმთაიმში 21:00 სთ.-ზე გადის კოლუმბიური ტელესერიალი, კომპანია **TELEMUNDO**-ს ნაწარმოები „ქალი სარკეში“.

ასევე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, დღის ეთერში 15:00 სთ.-ზე გადის კომპანია **WORNER BROS.**-ის დეტექტიური ჟანრის სერიალი „გაუხსნელი საქმე“, სადაც ყოველ სერიაში ხელახალი გამოძიების შედეგად, წლების წინ ჩადენილი დანაშაულების გახსნა ხდება.

საღამოს 19:00 სთ.-ზე, ეთერი ეთმობა ასევე ამერიკულ სერიალებს: ორშაბათი-ოთხშაბათი - „ლას ვეგასი“, ხოლო ხუთშაბათი-პარასკევი - „ზებუნებრივი“. „ლას ვეგასი“ არის კრიმინალური დარამა, რომელიც გადაღებულია კომპანია **MGM** –ში და ერთ-ერთი კაზინოს თანამშრომლების საქმიანობაზე მოგვითხრობს. მისტიკური დრამა „ზებუნებრივი“ კი კომპანია **WORNER BROS.**-ის პროდუქციაა და აღწერილია იდუმალ გარემოებაში გაუჩინარებული ადამიანების ამბავი, რომლებსაც რაღაც ზებუნებრივი ძალა კლავს.

შაბათ-კვირას კი, საღამოს ეთერში 19:00 სთ.-ზე გადის ასევე **WORNER BROS.**-ის პროდუქცია „ელიტარული უბანი“. ეს არის რომანტიკული კომედია, სადაც აღწერილია მთავარი გმირის, ახალგაზრდა ბიჭის

თავგადასავალი, რომელიც სახლიდან იძულებით წამოსვლის შემდეგ კალიფორნიაში, ელიტარულ უბანში ხვდება.

24 დეკემბრიდან დავიწყეთ ქართული ახალგაზრდული სერიალი „მესამე თაობა“, რომელიც კომედიური ჟანრისაა და მისი გმირებიც, ძირითადად, სტუდენტები არიან.

ორშაბათს და ოთხშაბათს 18:00 სთ-ზე, ეთერში გადის დისქავერის დოკუმენტური ფილმები, რომელიც შერჩეულია სხვადასხვა თემატიკის მიხედვით. შაბათ-კვირას კი, ტრადიციულად, ვაჩვენებთ საფრანგეთის არხების ARTE და CFI დოკუმენტურ ფილმებს, რომლებიც საინტერესოდ მოგვითხრობენ ისტორიაზე, ხელოვნებაზე, მეცნიერებაზე და გამოჩენილ ადამიანებზე. ასევე, შაბათ-კვირას ვაჩვენებთ დოკუმენტური ფილმების ციკლს „მსოფლიოს ქალაქები“.

ბავშვებისთვის კი, ყოველდღე, ეთერში გადის ანიმაციური სერიალი „ბეტმენი“.

თოქ-შოუ „ცხოვრება მშვენიერია“

2008 წლის ოქტომბერი-ნოემბერი-დეკემბერი

შემეცნებით-გასართობი თოქ-შოუ „ცხოვრება მშვენიერია“ ეთერშია ორშაბათსა და ხუთშაბათს 22 საათზე. წამყვანი – ნინო ქაჯაია.

გადაცემა მიზნად ისახავს საზოგადოებრივ-კულტურული თვალსაზრისით საინტერესო თემატიკაზე საუბარს, ახალი საინტერესო სახეების წარდგენას.

თუ გადაცემის წუთობრივი რეიტინგებით ვიმსჯელებთ, შეიძლება უკვე ითქვას, რომ მან უკვე შეიძინა პოტენციური მაყურებელი, რომელიც ასე ვთქვათ, მისი მიზიდულობის არეშია და გადაცემის მსვლელობისას გარკვეული დროით მაინც უყურებს თოქ-შოუს. წუთობრივი რეიტინგის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 10-ს აღემატება. გადაცემის ერთიანი რეიტინგის რეკორდია 7,1.

გადაცემის შეთავაზება საკმაოდ ფართეა და მრავალფეროვანი. გადაცემას საკმაოდ ამბიციური მიზანი აქვს, მას სურს საუკეთესო გემოვნების ადამიანები მოიზიდოს, დახვეწილ კულტურულ ღირებულებებზე ისაუბროს, ამასთან, აცნობიერებს რა იმას, რომ ასეთი მაყურებელი საკმაოდ მცირერიცხოვანია, აუდიტორიის მოზიდვის მიზნით ის ერთგვარ ზომიერ კომპრომისულ სვლებსა და პოპულარულ თემებსაც მიმართავს. გადაცემაში საკმაოდ გამოკვეთა აქცენტი გამორჩეულ ახალგაზრდებსა და ბავშვებზე, ე.წ. აღმოჩენებზე, ზოგადად ადამიანებზე, რომლებიც თავისმა ნიჭმა, შრომამ თუ ორიგინალურმა აზროვნებამ გამოარჩია.

შეიძლება ითქვას რომ თოქ-შოუ ძიების პროცესშია და ცდილობს ფორმატის დახვეწასა და ერთიანი გადაცემის შემადგენელი ცალკეული ბლოკების თემატურსა და აზრობრივ შეკვრას. მიმდინარეობს მუშაობა მისი რიტმული და დინამიკური სტრუქტურის გაუმჯობესების მიმართულებით.

სიახლეა ის, რომ თუ დეკემბრის თვეში ერთი გადაცემის ყველა ბლოკს ახალი თემა შემოჰქონდა შოუში, რაც გადაცემის აზრობრივ და კომპოზიციურ შეკვრას აფერხებდა, იანვრიდან გადაცემის ბლოკები თემატური პრინციპით იკვრება.

„ცხოვრება მშვენიერია“ ჯერ კიდევ ძიებისა და განვითარების პროცესშია და მიზნად აქვს იმუშაოს როგორც შერჩეული თემის გაღრმავებისა და მრავალხმრივი წარდგენის, ისე სანახაობრივი პოტენციალის ათვისებისა და მაყურებელის ემოციური ჩართვის მიმართულებით.

**ეთერში გასული გადაცემები:**

4 დეკემბერი, ხუთშაბათი - გახსნა: ერისიონი, რუსთაველის თეატრის მისაღმება, იმედა კახიანი და ანუკა მურვანიძე თავისი ისტორიებით, ბრმა მუსიკოსი გოგონა

თამუნა შავლაშვილი, საბავშვო ჯგუფი „ბზიკები“ –მაქსიმალური რეიტინგი 10% -  
საერთო რეიტინგი: რეგიონები – 3,54%; თბილისი – 1, 71%.

8 დეკემბერი, ორშაბათი – თემა: კულტურული ემბარგო. სტუმრები: რობერტ სტურუა,  
ნანი ბრეგვაძე, ნინო ქათამაძე, ლადო ბურდული, ჩართევი მოსკოვიდან – არტემი  
ტროიცკი და ალექსანდრე ლიპნიცკი. რეიტინგი: რეგიონები – 1,30%; თბილისი –  
2,89%.

11 დეკემბერი, ხუთშაბათი - ეკა ხოფერია და მისი მეუღლე მიშა ხურჯაძე,  
„მოგზაურობა ყარაბახში – 2“ - გადამღები ჯგუფის წევრები, ნუკრი კაპანაძე  
რეიტინგი: რეგიონები – 1,71, თბილისი – 1,50.

15 დეკემბერი, ორშაბათი – ნინო ანანიაშვილი, გამარჯვებული მოჭადრაკეები, ნინი ქვი  
– ქუდებისა და აქსესუარების დიზაინერი, მისი ნამუშევრების ჩვენება. რეგიონები:  
3,31%; თბილისი – 1,84%.

18 დეკემბერი, ხუთშაბათი – სტუმრები: I ბლოკი - ინგა გრიგოლია; II ბლოკი - გოგა  
პიპინაშვილი, როგორც არტ ჰოლის ხელმძღვანელი (საბავშვო თეატრის) და ბავშვები  
არტ ჰოლიდან, ნანა შონია, რომელმაც ბავშვებთან ერთად სპექტაკლში ითამაშა, III  
ბლოკი - ირმა შარიქაძე და მისი ფოტომოდელები. რეიტინგი: რეგიონები - 5,48%;  
თბილისი - 3,41%.

2 დეკემბერი, ორშაბათი - წიგნის გამომცემლები გია დარსალია, თინა მამულაშვილი,  
თამარ მამაცაშვილი, რესურს ცენტრის ხელმძღვანელი – მაია მიმინოშვილი (ამ  
ბლოკში საუბარი იყო წიგნსა და ლიტერატურაზე არსებულ მოთხოვნილებაზე,  
ახალგაზრდების განათლებისა და აღზრდის საკითხებზე), II ბლოკი - ნინო ქადაგიძე-  
უვანია, III ბლოკი - ეთერ ანჯაფარიძე. რეგიონები: 1,35%; თბილისი – 1,47%.

5 დეკემბერი, ხუთშაბათი - სოფო ხალვაში, ბავშვები ნიჭიერთა ათწლედიდან – ნიკა  
ცოცხალაშვილი, სენდი ვართანოვი, რომლებმაც შეასრულეს მუსიკალური  
კომპოზიცია, „ცხოვრება მშვენიერიას“ ნაძვის ხის პრეზენტაცია, რომელზეც ყველა  
სტუმარი სამახსოვრო საჩუქარს ტოვებდა და რომელიც შემდეგ ბავშვთა სახლს  
გადაეცა საჩუქრად, ფინალში სოფო ხალვაშმა და „ბზიკებმა“ შეასრულეს ერთობლივი  
მუსიკალური ნომერი. რეგიონები: 3,29%; თბილისი – 2,15%.

29 დეკემბერი, ორშაბათი, სტუმრები: საშა კორსანტია, ირმა ნიორაძე, ავთო  
ცქვიტინიძის ჩვენება. რეგიონები: 2,59; თბილისი: 3,76.

5 იანვარი, ორშაბათი – ქეთი მეღუას ჩართვა ინგლისიდან, ნინო სურგულაძე, სიუჟეტი  
კახი კალაძეზე და ანუკა არეშიძეზე, ახალგაზრდა ფეხბურთელი გიორგი წანტურია  
რომელიც „ბარსას“ მოთამაშე გახდება, სიუჟეტი ბავშვთა სახლისათვის ნაძვის ხის  
გადაცემის შესახებ – რეგიონები: 6,17%; თბილისი: 7,10%.

8 იანვარი, ხუთშაბათი - **თემა: მშობლები და შვილები** – ლადო ბურდული და მისი დედა ინესა აბესაძე, გოგონა „ემუ“ - გარკვეული ალტერნატიული ახალგაზრდული ჯგუფის წარმომადგენელი, რომელმაც სახელად ეშლი დაირქვა და დედამისი, მამა და შვილი კორკოტაშვილები. **რეიტინგი: რეგიონები – 1,51%; თბილისი – 1,24%.**

12 იანვარი, ორშაბათი – **თემა: დიეტები.** სტუმრები – მარინა სალუქვაძე, სალომე დადუნაშვილი, ავთო ცქვიტინიძე, ფსიქოლოგი სოფო ვერულაშვილი, ენდოკრინოლოგი დავით მეტრეველი, იოგი თამაზ თავაძე, ფიტოთერაპევტი – **რეიტინგი: რეგიონები – 3,50; თბილისი – 3,99.**

15 იანვარი, ხუთშაბათი – **ახალგაზრდა ხელოვანები:** მსახიობი ანა გურჯი, რეჟისორი ლევან კოლუაშვილი, ახალგაზრდა პოეტები და ლიტერატორები – გიორგი კეკელიძე – საიტ ლიბ.ჯე-ს დაამაარსებელი, ნიკა წიკლაური, იანა ანდომიანი. სიმონ მაჩაბელი – მხატვარი, დიზაინერი. **რეიტინგი – რეგიონი 2,72; თბილისი – 1,03.**

22 იანვარი – **თემა: ტყუპები.** სტუმრად არიან: დები კახიძეები, და-ძმა კალატოზიშვილები – ნანკა და გიორგი; ტყუპების მშობლები: ქეთუსია იგნატოვა და ვატო აბაშიძე; სიუჟეტები ლევად და ირაკლი აბაშიძესა და ანა და ლიზა ციციშვილებზე, ნანა ცინდელიანი - სამი ტყუპის დედა მისი სამივე ვაჟით. **რეიტინგი: თბილისი – 1,06%; რეგიონები – 3,10%.**

26 იანვარს გადის გადაცემა თემაზე „ჩაკრულო“. გადაცემაში მოთხრობილია კოსმოსში გაგზავნილი ვოიაჯერის ისტორია, რომელმაც თან ქართული ჩაკრულოს ჩანაწერიც წაიღო. სტუმრად არის რამაზ ბლუაშვილი, ადამიანი რომელმაც ნასადან გამოითხოვა ჩანაწერი, რის შედეგადაც გაირკვა, რომ ჩაკრულო როსტომ სადინაშვილის შესრულებით გაიგზავნა. გადაცემას სტუმრობს როსტომ სადინაშვილიც. სევე სტუმრად არიან ერისიონის ძველი წარმომადგენლები – მოცეკვავე ლალი გამეზარდაშვილი, მომღერალი შოთა ბრეგაძე. ფინალში მღერიან ჩაკრულოს.

29 იანვარს გავა გადაცემა თეატრის მოღვაწეთა ძველი და ახალი თაობის წარმომადგენელთა მონაწილეობით – სტუმრად არიან თემურ ჩხეიძე, ნოდარ მგალობლიშვილი, ნანა ფაჩუაშვილი, ნანი ჩიქვინიძე. ასევე სამეფო უბნის თეატრში ზაფხულში ჩატარებული ახალგაზრდული თეატრალური კონკურსის გამარჯვებულები.

## შემეცნებითი მიმართულება

2008 წლის ოქტომბერი-ნოემბერი-დეკემბერი

### გადაცემა “დიალოგი როლში”

გადაცემის ქრონომ. – 35წთ.

საუთურო დღე – კვირა

დროის სეგმენტი – 18:00

“დიალოგი როლში” გადაცემის ფორმატი არის პოლიტიკური შოუ, რომელზეც დღევანდელ მედია სივრცეში საკმაოდ დიდი მოთხოვნაა. პოლიტიკურ შოუში გამოყენებულია სატირულ-იუმორისტული ელემენტები. გადაცემაში მონაწილეობს ორი პერსონა, ერთის მხრივ, პოლიტიკოსი, სახელმწიფო მოხელე ან საზოგადოებისთვის ცნობილი პიროვნება, მეორეს მხრივ კი – მსახიობი, სოციუმის რომელიმე წარმომადგენლის როლში.

ჩემმა ერთთვისანმა დაკვირვებამ და მარკეტინგის სამსახურის ანალიზმაც ცხადყო, რომ განახლებული არხის პროექტებიდან გადაცემა “დიალოგი როლში” არის ერთ-ერთი რთულად მოსამზადებელი პროექტი. პროექტის წარმატებით განხორციელებისა და მაღალი რეიტინგისათვის საჭიროა ყოველთვის ზუსტად და კარგად შეირჩეს როგორც პოლიტიკოსი, ასევე მსახიობი.

ეთერში გასული გადაცემებიდან ყველაზე წარმატებული იყო პირველი გადაცემა, გია როინიშვილის და სანტექნიკოსის როლში ნოდარ ხუციშვილის წყვილით, რაც რეიტინგულ მაჩვენებელში აისახა 1,99% და 1,30% amr-ით. აქვე, მინდა აღვნიშნო, რომ ეს მაჩვენებელი პირველი გადაცემისათვის არც თუ ისე დაბალია, რადგან მაყურებელი ჯერ მოგეხსენებათ, შერჩევა-შეჩვენვის პროცესშია. პირველი გადაცემის შემდეგ

სტუდიამ გაითვალისწინა ჩვენს მიერ მიწოდებული ყველა რჩევა და შენიშვნა იმის თაობაზე, რომ სცენარში აუცილებლად ყოფილიყო წარმოჩენილი სოციუმის წარმომადგენლის კონკრეტული პრობლემატიკა, რაც მომდევნო გადაცემაში ზუსტად იყო ასახული. ამიტომაც, გიგი წერეთლისა და ალექო მახარობლიშვილის წყვილმა გაამართლა, რადგან პოლიტიკოსი იყო გულწრფელი, უშუალო, მახარობლიშვილის შექმნილი გმირი კი იმდენად დამაჯერებელი, რომ პოლიტიკოსმა ლამის დაიჯერა მსახიობის არაფხიზელი მდგომარეობა.

ამ გადაცემის რეიტინგი წინასთან შედარებით მომატებულია - 1,71% და 2,70%.

ყველაზე მაღალი რეიტინგი ჰქონდა გადაცემას ლევან ბერძენიშვილისა და მსახიობ ვახო კანდელაკის მონაწილეობით. – (2,42%

4,86%) აბიტურიენტის თვალთ დანახული განათლების სისტემის თემა საკმაოდ აქტუალური აღმოჩნდა.

სულ ეთერში გავიდა 8 გადაცემა და მათი სარეიტინგო მაჩვენებლები ასეთია:

„დიალოგი როლში“ – ეთერში გასული გადაცემები:

7.12.08 სტუმარი – გია როინიშვილი, როლში – ნოდარ ხუციშვილი. 1,99% 1,30%

14.12.08 სტუმარი– გიგი წერეთელი, როლში– ალექო მახარობლიშვილი. 1,71% 2,70%

21.12.08 სტუმარი –მიშა ავალიანი, როლში– იმედა არაბული. 1,00% 2,57%

28.12.08 სტუმარი– მიშა ცაგარელი, როლში – ნანა ხურიტი. 2,82% 0,66%

4.1.09 სტუმარი– ჯუმბერ ლეჟავა, როლში – ნოდარ დოდონაძე. 1,98% 1,53%

11.1.09 სტუმარი –ლევან ბერძენიშვილი, როლში – ვახო კანდელაკი. 2,42% 4,86%

18.1.09 სტუმარი– კობა სუბელიანი, როლში – მამუკა ლორია. 1,40% 1,92%

შიდი გადაცემის რეიტინგის საერთო მაჩვენებელი იძლევა შემდეგი დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ გადაცემის დახვეწის, სტუმრის აქტუალობის მიხედვით შერჩევისა და მსახიობთან რეჟისორის უფრო ინტენსიური მუშაობის შემთხვევაში შემოქმედებით ჯგუფს აქვს იმის პოტენციალი, რომ გადაცემა უფრო საინტერესო და ყურებადი გახადოს.

ყველაზე სუსტი გადაცემა შინაარსობრივი და მსახიობის შერჩევის თვალსაზრისით იყო ჯუმბერ ლეჟავასა და ნოდარ დოდონაძის წყვილი, მსახიობის მიერ განსახიერებელი როლი აცდენილი იყო სცენარს. ვთვლი, რომ მსახიობი ყველა მომდევნო გადაცემისთვის უნდა იყოს დასახული ამოცანის შესატყვისად შერჩეული და ძირეულად არ უნდა გადაუხვიოს რეჟისორის მითითებებს.

რაც შეეხება სტუდიის დიზაინს, სტუდიის დეკორაცია მართალია შეიცვალა, მაგრამ ის ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს არხის საერთო ესთეტიკის მოთხოვნებს. ამჟამად სტუდიის ხელმძღვანელმა დაუკვეთა ახალი დიზაინი და მოწონების შემთხვევაში უახლოეს პერიოდში დამზადდება გადაცემისათვის ახალი დეკორაცია.

ეთერში გასული შიდი გადაცემის შემდეგ შეიძლება შემდეგი დასკვნის გაკეთება, გადაცემას უკვე ჰყავს თავისი მაყურებელი და აქვს პოტენციალი უფრო მეტად ყურებადი გახდეს.

**შენიშვნა – გადაცემას “დიალოგი როლში” შეეცვალა საეთერო დღე და დრო. ეთერში გავა ყოველ ოთხშაბათს, 18:30**

## თოქ-შოუ “მოკლე ჩართვა”

გადაცემის ქრონომ. – 45წთ.

საუთერო დღე – სამშაბათი, ხუთშაბათი

დროის სეგმენტი – 18სთ:00

ახალგაზრდული თოქ-შოუ გათვლილი იყო ახალგაზრდულ სამიზნე ჯგუფზე. თუმცა, მარკეტინგულმა ანალიზმა აჩვენა, რომ პროექტის ტელეაუდიტორიის უმრავლესობას წარმოადგენს 45+ ასაკის მაყურებელი, რაც დამაფიქრებელია და მოითხოვს სერიოზულ ცვლილებებს როგორც თემატიკის, ასევე სტუმრის შერჩევის თვალსაზრისით. სრულიად ბუნებრივია, რომ გადაცემას არ უყურებს მხოლოდ ახალგაზრდული სამიზნე ჯგუფი და “მშობლებსაც” აინტერესებთ “შვილების” პრობლემები, მაგრამ, პროექტის უპირველესი მიზანია, მიიზიდოს ახალგაზრდული სეგმენტი.

ხშირ შემთხვევაში გადაცემის თემის განხილვის კუთხე არის შერჩეული არასწორად, რისი მაგალითიც იყო პირველი გადაცემის თემა:

“ჩვენი თაობა”. მოწვეული სტუმრებიც უფროსი თაობისათვის უფრო ცნობილები იყვნენ, ვიდრე თინეიჯერი მაყურებლისთვის. ახალგაზრდულ აუდიტორიას უყვარს, როცა მათ კონკრეტულ პრობლემებზეა საუბარი, ისინი უფრო აქტიურად ერთვებიან ასეთი თემების განხილვაში და ყურებადობის მაჩვენებელიც უფრო მაღალია. ასეთი ტიპის დისკუსია ყოველთვის მეტ სიმწვავეს გულისხმობს. ხშირ შემთხვევაში წამყვანებს უჭირთ დისკუსიის ამ მიმართულებით წარმართვა. ყურზე დროულად მიწოდებული მესიჯის შემთხვევაშიც წამყვანები აგვიანებენ შესაბამის რეაგირებას, რაც სათანადოდ აისახება დისკუსიის ხარისხსა და გადაცემის დინამიკაზე.

გადაცემის მიმართ შენიშვნები ჯგუფმა გაითვალისწინა და თემების შერჩევასა და დისკუსიის უფრო საინტერესოდ წარმართვაზე შემოქმედებითმა ჯგუფმა სხვა მიდგომა განახორციელა, ანუ 5-5 წუთიან სეგმენტებად დაიყო გადაცემის ყოველი ბლოკი, რომ წამყვანებს ჰქონოდათ თოქ-შოუს მსვლელობის ზუსტი სქემა. სტუმრების შერჩევაც განხორციელდება ახალგაზრდობისათვის ცნობილის და საინტერესოს ნიშნით, წამყვანებს მიეცათ უფრო ზუსტი და კონკრეტული ამოცანები. ამ ეტაპზე გადაცემის სტაფში განხორციელდა კიდევ ერთი ცვლილება და ფუნქციები სხვაგვარად გადანაწილდა, რაც ვიმედოვნებ, დაეტყობა გადაცემის რეიტინგს. იმ შემთხვევაში, თუ ამ ცვლილებებმაც არ გამოიღო რეალური შედეგი, ვფიქრობ, უნდა შეიცვალოს წამყვანები, ორივე, ან ორიდან ერთ-ერთი.

დღეისათვის ეთერში გავიდა სულ 12 გადაცემა. ყველაზე მაღალი რეიტინგი ჰქონდა მეშვიდე გადაცემას, სტუმრები – ინგა გრიგოლია და დაჩი გრძელიშვილი. რეიტინგი – 2,94% 2,15% და 15 იანვარს გასულ გადაცემას, თემით – “ბოი ფრენდი და გელ ფრენდი”. რეიტინგი – 2,21% 3,29%.

რეიტინგული მაჩვენებლის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, პირველ ექვს გადაცემას აქვს სტაბილურად დაბალი რეიტინგი, მეექვსე იყო საერთოდ ჩავარდნა, ხოლო მეჩვიდე გადაცემიდან შეიმჩნევა რეიტინგის მატება განსხვავებული ამპლიტუდებით.

თოქ-შოუ “მოკლე ჩართვა” – ეთერში გასული გადაცემები:

4.12.08 თემა – “ჩვენი თაობა”, სტუმრები: ლაშა ბუღაძე, დათო დოიაშვილი

9.12.08 თემა – “მე არ მინდა ვგავდე სხვას”, სტუმრები: დევი გოგიბედაშვილი, მაკა ჩიჩუა

11.12.08 თემა – თემა “მშობლები და შვილები”, სტუმრები: ეკა ნიჟარაძე, ზაზა კოლეიშვილი

16.12.08 თემა – “მე მინდა მუშაობა”, სტუმრები: ნინო შოშიტაიშვილი (ჟურნალისტი) ირაკლი ჭელიშვილი (ჯიპას ლექტორი)

18.12.08 თემა – “თანამედროვე ქართული კინო”, სტუმრები: ბუბა ხოტივარი, ლევან თუთბერიძე

23.12.08 თემა – “მიზანი ამართლებს საშუალებას”, სტუმრები: კახა ცისკარიძე (მუსიკოსი, პროდიუსერი), ზაზა ფირალიშვილი (ფილოსოფოსი)

25.12.08 თემა – “პროფესია – ჟურნალისტი” სტუმრები: ინგა გრიგოლია, დაჩი გრძელიშვილი

30. 12.08 თემა – “ახალი წელი” სტუმრები: ლევან ჯავახიშვილი, მიხეილ ცაგარელი.

6.01.09 თემა – “ქართული ტრადიციები” სტუმრები: თამრიკო ჟოხონელიძე ჯაბა წულაძე

8.01.09 თემა – “სნობიზმი”, სტუმრები: ნინია კაკაბაძე, რატი ამალლობელი.

13.01.09 თემა – “მეგობრობა”, სტუმრები: გიზო ნიშნიანიძე, ნუგზარ ხავთასი

15.01.09 თემა – “სიყვარული”, სტუმრები: ია ჩანტლაძე (მომღერალი), კახა მიქიაშვილი (მსახიობი)

20.01.09 თემა – “ცუდი და კარგი ბიჭები”, სტუმრები: ნიკა გელაშვილი (რეჟისორი), გიორგი ნაკაშიძე (მსახიობი)

## გადაცემა “ხარისხის ნიშანი”

გადაცემის ქრონომ. – 30წთ.

საეთურო დღე – კვირა

დროის სეგმენტი – 10სთ.30წთ.

გადაცემა “ხარისხის ნიშანის” მიზანია მაყურებელს მიაწოდოს საჭირო ინფორმაცია ქართულ ბაზარზე არსებული პროდუქციის ხარისხზე, ფასებსა და დანიშნულებაზე, გაათვითცნობიეროს მაყურებელი მომხმარებლის უფლებებში და მიაწოდოს მას პრაქტიკული რჩევები. გადაცემა შედგება სამი ძირითადი რუბრიკისაგან:

1. პროდუქტი
2. ზომა-წონა
3. როგორ ავირჩიოთ (ეს რუბრიკა აერთიანებს მაყურებლის ინფორმირებას ფასის, ფაქტურისა და ხარისხის შესახებ)

გადაცემის სამიზნე ჯგუფი შესაძლოა იყოს სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორია, რადგან პროდუქციის ხარისხიც, ფასიც და მისი პრაქტიკული დანიშნულებაც ყველა ტიპის მაყურებლისთვის არის საინტერესო. პროექტმა რომ გაამართლოს და უფრო ყურებადი გახდეს, გადაცემაში რამდენიმეჯერ განხორციელდა ცვლილება, ანუ წამყვანი შეიცვალა სამჯერ. გამოიკვეთა კიდევ ერთი აუცილებლობა, რომ წამყვანი არ უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ ერთი სიუჟეტიდან ან ერთი რუბრიკიდან მეორეზე გადასასვლელ ე.წ. ხიდს, ის აუცილებლად უნდა იყოს აქტიურად ჩართული სიუჟეტებში, მაყურებელი უნდა ხედავდეს მის დამოკიდებულებას, ემოციას და განწყობას და თუ ეს სამივე კომპონენტი იქნება დაცული, ასეთი წამყვანი უფრო მეტ დამაჯერებლობას შეიძენს. სასურველია, გადაცემაში წარმოჩენილი იყოს ამა თუ იმ პროდუქციის ტესტირება და მისი შედეგები, რაც გადაცემას ასევე მეტ აქტუალობას და კომპეტენტურობას შესძენს. თუმცა, როგორც ჯგუფისგან შევიტყვე ტესტირების ჩატარება საკმაოდ დიდ დროს გულისხმობს, მაგ: ორ თვეს, ეს ფაქტორი კი თავისთავად პრობლემას ქმნის ყველა გადაცემაში ამ მეთოდის გამოყენებაზე. საჭიროა, მაყურებელს უფრო მეტად გავაცნოთ ის ნიშნები თუ მახასიათებლები, რის შედეგადაც მათ ადვილად შეეძლებათ გაარჩიონ ხარისხიანი პროდუქცია უხარისხოსაგან.

საერთო ფინანსური კრიზისის ფონზე მეტად აქტუალურია პროდუქციის ფასების ზრდის საკითხიც. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ პროდუქტის ხარისხთან ერთად მაყურებელს უპ. ყოვლისა მისი ფასი აინტერესებს.

შემოქმედებითმა ჯგუფმა გაითვალისწინა შენიშვნა სხვადასხვა სიუჟეტების სხვადასხვა გახმოვანებასთან დაკავშირებით და ახლა ერთი ხმა ახმოვანებს. 18 იანვარს ეთერში გასულ გადაცემაში გათვალისწინებული იქნა წამყვანის აქტიურობასთან დაკავშირებული შენიშვნები და იქ სადაც შესაძლებელი იყო ნანა შონიას აქტიური ჩართვა სიუჟეტში, განხორციელდა კიდევ.

ამ დროისათვის ეთერში გავიდა სულ 7 გადაცემა. სარეიტინგო მაჩვენებლები მთლად დამამშვიდებელ სურათს ვერ გვაძლევს, თუმცა, გამოიკვეთა ერთი ტენდენცია, რომ რეგიონში ყურებადობის მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე თბილისზე. ყველაზე მაღალი რეიტინგი ჰქონდა 28 დეკემბრის გადაცემას – 2,49% რეგიონში და 0,77% თბილისში. როგორც ჩანს აქ დიდი იყო წინსაახალწლოდ პროდუქტებზე გაზრდილი ინტერესი და ეს ინტერესი გადაცემამ მომხმარებელს დაუკმაყოფილა.

ფორმატის უფრო მეტად დახვეწის და წამყვანის აქტიურად ჩართვის შემთხვევაში იმედი მაქვს გადაცემა მოიპოვებს სასურველ რეიტინგს.

## დოკუმენტური ფილმი “ჩვენებურები”

გადაცემის ქრონომ. – 45წთ.

საეთერო დღე - სამშაბათი

დროის სეგმენტი – 22სთ.

გიორგი კალანდიას დოკუმენტური სერიალი საკმაოდ დიდი შემეცნებითი ღირებულების მქონე, კარგად გააზრებული და ასევე კარგად განხორციელებული პროექტია. დოკუმენტური სერიალი გვაწვდის საინტერესო მასალას უცხო ქვეყნებში მოღვაწე ცნობილი თუ დღემდე უცნობი ქართველების შესახებ. მაყურებელი იხილავს უნიკალურ ვიზუალურ მასალას და მოისმენს დღემდე უცნობ ისტორიებს ცნობილი ისტორიული პირების ბიოგრაფიიდან. დოკუმენტური სერიალი არის კარგად მოფიქრებული, ძნელად მოსაძიებელი დოკუმენტური მასალით გაჯერებული, მაღალი დონის ოპერატორული ნამუშევრით და კარგი მონტაჟით შესრულებული. ერთი სიტყვით, ის სრულად ჯდება დოკუმენტალისტიკის კლასიკურ ჩარჩოებში.

რაც შეეხება რეიტინგულ მაჩვენებლებს, ამ დროითი სეგმენტისათვის ის სულაც არ არის დაბალი. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რა გადაცემები გადის ამ დროს სხვა არხებზე. რუსთავი 2-ზე გადის სატელევიზიო თამაში “ვა-ბანკი”, იმედზე კი ყველაზე მაღალ რეიტინგული სერიალი “შუა ქალაქში” (გამეორება). თუმცა, ასეთ კონკურენტულ გარემოშიც დოკუმენტური სერიალი წარმატებით ითვისებს მაყურებელთა საჭირო სეგმენტს.

“ჩვენებურების” გაშვება განახლებულ ეთერში გარკვეული სტრატეგიით დავიწყეთ, ანუ შევეცადეთ მაყურებლისათვის უკვე კარგად ნაცნობი თურქეთში მცხოვრები ქართველობის თემა დროში ცოტა გადაგვეწია და მისთვის უცნობი სერიალით “მისრეთის მხედრები”, ეგვიპტეში ქართველ მამულუქთა მმართველობის ისტორიით დაგვეწყო. რამაც, ჩემი აზრით, გაამართლა კიდევ. სერიალიმა “შენი გულის ჭირიმე” უცებ აკრიფა რეიტინგი – 3,20% 2,74%.

ატს-ის მონაცემებიც ანუ რა ასაკობრივი სეგმენტი რამდენ წუთს რჩება ამ გადაცემასთან, საინტერესო მაჩვენებელს გვთავაზობს:

- 20-25წლის – 11წთ.
- 25-34წლის – 12წთ.53წმ.
- 35-44წლის 18წთ.54წმ.
- 45-54წლის – 11წთ.47წმ.
- 55-64წლის – 11წთ,53წმ.
- 65+ ასაკი – 21წთ.05წმ.

ეთერში გასული დოკუმენტური ფილმების თემატიკა:

**“მისრეთის მხედრები” (4 სერია)**

- ფილმი I – დავიწყებული გმირები
- ფილმი II – თეთრი განძი
- ფილმი III – უდაბნოს ღომები
- ფილმი IV – მონატრებული შვილები

**“შენი გულის ჭირიმე” (4სერია)**

- ფილმი I – სათავესთან
- ფილმი II – ტბეთის ტკივილი
- ფილმი III – მარიობა
- ფილმი IV – უძირო ზეცა

**დოკუმენტური ფილმი “მოწყვიტე წამი”**

ქრონომ. – 45წთ.

საეთერო დღე – ოთხშაბათი

დროის სეგმენტი – 22სთ.

სოფო მოსიძის გადაცემა საკმაოდ ტელეგენურია. მასში კარგად არის მოცემული დოკუმენტურ-პუბლიცისტური ჟანრის სინთეზი.

ფილმი აგებულია ერთ მნიშვნელოვან მოვლენაზე და ავტორი გვთავაზობს ამ მოვლენის მთავრი გმირის სუბიექტურ ვერსიას.

ფილმში გამოყენებულია საინტერესო დოკუმენტური მასალა, მასალები ფილმის გმირის პირადი არქივიდან, რაც ზოგ შემთხვევაში შესაძლოა არაესთეტურია, მაგრამ ზუსტად ხსნის გმირის ხასიათს ან ამა თუ იმ მოვლენის კონტექსტს. გადაცემა ყოველთვის კარგად გააზრებულია და შესრულებულია მაღალ პროფესიულ დონეზე.

რაც შეეხება რეიტინგს, იგი ხშირ შემთხვევაში დამოკიდებულია თემის და პიროვნების შერჩევაზე. მიუხედავად ანიმატორ დავით სინარულიძის საინტერესო ბიოგრაფიისა, მისმა პერსონამ მაყურებელთა ნაკლები ინტერესი გამოიწვია და შესაბამისად რეიტინგიც დაბალი იყო.

იგივე შეიძლება ითქვას ოლიმპიადის მონაწილე, მოჭიდავე გორშელიძეზეც, რომელსაც ჩინეთის ოლიმპიადის დროს საკმაოდ სკანდალური ისტორია გადახდა.

სოფო მოსიძის დოკუმენტური ფილმი “მოწყვიტე წამი” ერთ-ერთ მაღალრეიტინგულ გადაცემათა კატეგორიას მიეკუთვნება. შედარებით მკაფიოდ გამოიხატა 25-34 ასაკობრივი სეგმენტის დაინტერესებაც. ამ დროითი სეგმენტისთვის ასეთი ფორმატის გადაცემა წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს.

პირველი არხის განახლებულ ეთერში სულ გავიდა სოფო მოსიძის 5 დოკუმენტური ფილმი:

- 10.12.08. – გია ყარყარაშვილი
- 17.12.08 – დავით სიხარულიძე
- 24.12.08 – გიგა არველაძე
- 14.01.09 – გიორგი გორშელიძე
- 20.01.09 – დავით იაკობიძე

გადაცემა „ჩაალაგე ჩემოდანი“  
2008 წლის ოქტომბერი-ნოემბერი-დეკემბერი

ანოტაცია (ვებ-გვერდიდან):

„ჩაალაგე ჩემოდანი“ პირველი არხის ეთერშია ყოველ შაბათს, 10:30 საათზე.  
წამყვანი – აჩიკო გულედანი

„ჩაალაგე ჩემოდანი“ მაყურებელს სთავაზობს სხვადასხვა საინტერესო ტურისტულ მარშრუტს საქართველოსა თუ უცხოეთში. მაყურებელი შეიტყობს სასარგებლო ინფორმაციას მოგზაურობისა და ტურისტული მომსახურების, სხვადასხვა ტიპის ტურიზმის შესახებ. გაცნობა საქმიან, სათავადასაველო, ღვინის, დასასვენებელ, გასართობ, შემეცნებითსა და სხვა ხასიათის ტურებს. გადაცემის მიზანია გააღვივოს ტელემაყურებელში მოგზაურობის სურვილი და ხელი შეუწყოს ტურიზმის განვითარებას, გააცნოს მას საქართველო და მსოფლიოს საინტერესო, ეგზოტიკური ქვეყნები.

გადაცემა ეთერში გავიდა 6 დეკემბერს.

ამ პერიოდის მანძილზე იყო წარმოდგენილი გადაცემები, რომლებიც ასახავდნენ კახეთის რეგიონში შესაძლო რამდენიმე ტურს, კერძოდ კი ლაგოდეხის ნაკრძალს, კახეთის ქალაქებს (თუმცა ყველაზე მეტი დრო აღნიშნულ გადაცემაში ქალაქ სიღნაღს დაეთმო), კულტურულ ტურს კახეთში (ძველი და ახალი შუამთა, იყალთო და სხვ.) ღვინის ტურს. ამის შემდეგ, როგორც თემის ერთგავრი რეზიუმე, წარმოდგენილი იყო ფრენა კახეთის თავზე. კახეთის თემას გადაცემა გაზაფხულზეც განაგრძობს.

შემდეგი „ტური“ ე.წ. სანადირო ტურს წარმოადგენდა.

ზამთრის ტურიზმის ციკლიდან გავიდა გადაცემა გუდაურის შესახებ, რომელსაც მოყვება ბორჯომისა და ბაკურიანის ტურები.

ერთი შუალედური გადაცემა მიეძღვნება თბილისს, (გადაცემა ეთერში გავა 31 იანვარს) კერძოდ კი ძველ თბილისს დამ ის ტურისტულ ღირსშესანიშნაობებს, მათ შორის ბალნეოლოგიურ საავადმყოფოს, როგორც სამკურნალო ტურიზმის შესაძლო ობიექტს).

გადაცემა თანამშრომლობს ტურიზმის დეპარტამენტთან, რათა მის მიერ შეთავაზებული მარშრუტები რეალურ ტურისტულ ინფრასტრუქტურას აცნობდნენ მაყურებელს და სასარგებლო ინფორმაციას აწვდიდნენ მას.

ამჟამად გადაცემა მუშაობს ფორმატის დახვეწაზე, ამატებს რუბრიკას „ტურიზმის ნიუსები“, სადაც მაყურებელი ტურიზმის სამყაროს საინტერესო ამბებს მოისმენს. ამასთან გადაცემა დაგეგმავს ახალ მარშრუტებს და დინამიკისა და მასალის გამრავალფეროვნების გზით გადაცემის რეიტინგის ზრდაზე იზრუნებს. გადაცემის იდეის პოტენციალი პროდუქციის შემდგომი გაუმჯობესების შესაძლებლობას იძლევა.

6 დეკემბერი - I გადაცემა: ვაშლოვანის ნაკრძალი – თბილისი: 1,27; რეგიონი: 0,72

13 დეკემბერი - II გადაცემა: კულტურული ტური კახეთში (ძეგლები) – თბილისი: 1,01; რეგიონი: 1,87

20 დეკემბერი - III გადაცემა: კახეთის ქალაქები - თბილისი: 1,08; რეგიონი: 0,20.

27 დეკემბერი - IV გადაცემა: ღვინის ტური - თბილისი: 1, 01; რეგიონები: 2, 55

3 იანვარი - V გადაცემა: ფრენა კახეთის თავზე და ალიაშვილების ოჯახი – თბილისი: 1,44; რეგიონები: - 1,10.

10 იანვარი - VI გადაცემა: ნადირობა – თბილისი: 0,95; რეგიონები: 1,94

17 იანვარი - VII გადაცემა: ბალნეოლოგიური საავადმყოფო (ეთერში არ გავიდა გადაცემის თემატური და მხატვრული არასრულყოფილების, მასალის ერთფეროვნების გამო), გამეორდა გადაცემა „კახეთის ქალაქები.“

24 იანვარი - VIII გადაცემა: გუდაური

**„ერისთავის სათვალე“**  
2008 წლის ოქტომბერი-ნოემბერი-დეკემბერი

გეზუ არსებული ანოტაციიდან:

იუმორისტული გადაცემა „ერისთავის სათვალე“ პირველი არხის ეთერშია ყოველ კვირას 21 საათზე. 11 იანვრამდე – 20 საათსა და 30 წუთზე გადიოდა.

გადაცემის წამყვანია ლევან ერისთავი.

გადაცემა „ერისთავის სათვალე“ არის იუმორისტული შოუ, რომელიც გვთავაზობს კვირის მიმდინარე მოვლენების იუმორისტულ ასახვას, გვახვედრებს საინტერესო სტუმარს, გვიყვება და გვაჩვენებს ნამდვილსა და მოგონილ ამბებს.

გადაცემის მიზანია გაართოს მაყურებელი, იუმორისტულ ჭრილში დაანახოს მას არსებული რეალობა, პრობლემები.

გადაცემის ფორმატი წარმოადგენს რამდენიმე ჟანრის სინთეზს. მასში გაერთიანებულია იუმორისტული საინფორმაციოსა და თოქ-შოუს ელემენტები, ჩართულია მცირე ფორმატის თემატური ფილმები და ქუჩის გამოკითხვა. გადაცემის რუბრიკებია: „საიდუმლო მასალები“, „სხვა საქართველო სად არის“ და „ქუჩის აკადემია“.

4 დეკემბრის შემდეგ ეთერში გავიდა 7 გადაცემა, რომლებმაც თანდათან დაგვანახა ფორმატის დახვეწისა და მისთვის უფრო მკაფიო სტრუქტურის მინიჭების აუცილებლობა. ბლოკების შიდა ქრონომეტრაჟის პროპორციული დაბალანსების საჭიროება. სცენარისა და გადაცემის დრამატურგიული შეკვრის, სტილისტიკის განვითარებისა და დამუშავების გზები.

გადაცემის პირველი ნაწილი „ახალი ამბები“ ტრადიციული საინფორმაციოს სტრუქტურას გაიმეორებს, მასში იქნება საშინაო ამბები, საგარეო ინფორმაცია, სპორტი და კულტურა.

ნიუსებს მოჰყვება ე.წ. „ძველი ამბების“ რუბრიკა, რომელშიც გაიხსენებენ ძველ საინტერესო და სასაცილო ამბებს.

„ძველ ამბებში“ შევა ე.წ. კალენდარიც ანუ რაიმე კონკრეტულ თარიღთან დაკავშირებული წარსული მოვლენა (60-იანი, 70-იანი და სხვ. წლებისა).

ამავე რუბრიკაში მოვისმენთ ლევან ერისთავის მიერ მოთხრობილ ისტორიასაც.

გადაცემის შემდეგი ბლოკი იქნება „სტუმარი“. სტუმარი თავისუფალი შერჩევის პრინციპით აირჩევა, თუმცა განსაკუთრებულ შემთხვევებში კვირის მოვლენას დაუკავშირდება.

შენარჩუნდება საიდუმლო მასალების რუბრიკაც, რომელიც სახელწოდებას უფრო ზუსტად გაამართლებს.

სცენარისა და გადაცემის დახვეწისა და დრამატურგიული შეკვრის მიზნით ჯგუფს ემატება ერთი ან მეტი სცენარისტი და რედაქტორი, რომლებიც ფორმატის შემდგომ გაუმჯობესებაზე იზრუნებენ.

**I გადაცემა ეთერში გავიდა 7 დეკემბერს**

**სტუმარი: ინგლისის ელჩი დენის კიფი**

რეიტინგი: თბილისი: 2,17; რეგიონები: 2,61

## II გადაცემა ეთერში გავიდა 14 დეკემბერს

სტუმარი – ვანო ჯავახიშვილი

რეიტინგი – 2,85%, 3,33%

## III გადაცემა – 21 დეკემბერი

სტუმარი თემურ იაკობაშვილი

რეიტინგი - თბილისი: 1, 79; რეგიონები: 1, 58.

## IV გადაცემა – 28 დეკემბერი

სტუმარი ზურაბ აბაშიძე

თბილისი: 4, 07; რეგიონები 2, 87.

## V გადაცემა – 4 იანვარი

სტუმარი ბიძინა მახარაძე

რეიტინგი: 3,98%; 1,88%.

## VI გადაცემა – 11 იანვარი

სტუმარი ნუგზარ ჯუღელი

რეიტინგი: 3,22%; 2,85%.

## VII გადაცემა – 18 იანვარი

სტუმარი სოსო ჯაჭვლიანი

## VII გადაცემა – 26 იანვარი

სტუმარი ვახტანგ ხურციძე (წოპე)

რეიტინგი: თბილისი - 2,83%; რეგიონები – 1,41%.

„სამოთხის ვაშლები“

2008 წლის ოქტომბერი-ნოემბერი-დეკემბერი

ანოტაცია (ვებ-გვერდიდან):

სამოთხის ვაშლები“ პირველი არხის ეთერშია ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 11:00 საათზე. წამყვანები: სალომე დადუნაშვილი, ნინო ზაუტაშვილი, რუსუდან მანჯგალაძე, ნანა ფაჩუაშვილი.

„სამოთხის ვაშლები“ გასართობი, შემეცნებითი ხასიათის გადაცემაა, რომლის მიზანია მაყურებელს შეუქმნას ხალისიანი განწყობა, გაარკვიოს საზოგადოებრივი, ყოფითი ცხოვრების ყველა სფეროში, მიმოიხილოს მიმდინარე მოვლენები, მსუბუქი იუმორით განიხილოს და შეაფასოს საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანების მოღვაწეობის, პირადი ცხოვრების დეტალები.

გადაცემის წამყვანი სხვადასხვა ასაკის ოთხი ქალბატონია, რომლებიც ერთი საათის განმავლობაში სტუდიის სტუმართან ერთად მსჯელობენ და კამათობენ რამდენიმე თემაზე.

სტუმრის წასვლის შემდეგ, წამყვანები აგრძელებენ გამოთქმული მოსაზრებების შეფასებას. გადაცემის მსვლელობისას მაყურებელს შესაძლებლობა აქვს ტელეფონის ზარის მეშვეობით ჩაერთოს მსჯელობაში.

გადაცემის თემატიკაში გამოიკვეთა რამდენიმე ტენდენცია:

1. ერთგავრი ემოციური, სოციალურ-ფსიქოლოგიური ე.წ. ცხოვრებისული თემატიკა – ეჭვი, მარტოხელები, მარტოსულები, თილისმები, აზარტი (კაზინო – გურამ საღარაძე).
2. სპეციფიკურად „ქალთა თემები“ – ჩაცმა, სილამაზე, თავის მოვლა, ქალის საქმიანი, საზოგადოებრივი და საოჯახო ფუნქციების თავსებადობა, ა.შ.
3. კულტურის სფეროში მიმდინარე აქტუალურ მოვლენებთან, სიახლეებთან და მნიშვნელოვან თარიღებთან მიბმული თემები.
4. საზოგადოებაში დამკვიდრებულ ტრადიციებსა და თუ სიახლეებზე მსჯელობა და ა.შ.

გადაცემაში არის სამი ბლოკი, I ბლოკი წარმოგვიდგენს თემას და იწყებს მის „დამუშავებას“, II ბლოკში შემოდის სტუმარი (ერთი ან რამდენიმე), ხოლო მესამე ბლოკში ხდება თემის შეჯამება.

თემის დამუშავებისას შემოდის მსუბუქად მოწოდებული შემეცნებითი და ინფორმაციული ასპექტიც – საინტერესო სტატისტიკა, საუბარი ტენდენციებზე, წამოჭრილი პრობლემატიკის განსჯა და ა.შ.

გადაცემა საკმაოდ სტაბილურად ინარჩუნებს დილის რეიტინგის ფარგლებს და სამიზნე აუდიტორიას სრულად მოიცავს.

ხანდახან, დილის რეიტინგის კვალობაზე, ერთგვარი აფეთქებაც ხდება, მაგალითად 15 იანვარს თბილისში რეიტინგი იყო 1,58%, რეგიონში კი 6,56%.

გადაცემის საშუალო რეიტინგი მზარდი ტენდენციით გამოირჩევა და დილის საუკეთესო მაჩვენებლებს უახლოვდება.

## ვებ-გვერდი

2008 წლის ოქტომბერი-ნოემბერი-დეკემბერი

საზოგადოებრივი მაუწყებლის ორენოვანი ვებ-გვერდის დიზაინი და შინაარსობრივი მხარე მორგებულია იმ ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა არხზე.

მთლიანად შეიცვალა საიტის დიზაინი. მომზადდა რამდენიმე საიტი-პირველი არხის ([www.1tv.ge](http://www.1tv.ge)), საზოგადოებრივი მაუწყებლის ([www.gpb.ge](http://www.gpb.ge)), ამჟამად მიმდინარეობს საქართველოს რადიო-პირველი არხის ([www.radio1.ge](http://www.radio1.ge)) და რადიო2 -ქართული რადიოს ([www.radio2.ge](http://www.radio2.ge)) საიტებზე მუშაობა.

პირველი არხის საიტზე მომზადდა გადაცემების გვერდები, სადაც განთავსდა წამყვანების შესახებ ინფორმაცია, ანოტაცია, ფოტოგალერეა, ასევე ვიდეოფაილები. მთავარ გვერდზე განთავსდა ყველა გადაცემის ბანერი და ანონსები.

ყოველდღიურად განახლებადია «მოამბის» გვერდი. ყველა ახალ ამბავს ახლავს რამდენიმე ფოტოკადრი. ამავე გვერდზე ხდება არამარტო მთავარი თემების ვიდეოფაილების ატვირთვა, არამედ ყველა იმ სიახლის, რომელსაც საინფორმაციო სამსახური აშუქებს.

ყოველკვირეულად იცვლება ტელეპროგრამის სრული და მსუბუქი ვერსია. იცვლება თითოეული პროგრამის მოკლე აღწერილობა.

საიტზე განთავსდა დღიურები, ე.წ. ბლოგები. მომხმარებელს საშუალება აქვს შექმნას მისთვის სასურველი დღიური და გააკეთოს კომენტარები.

საიტზე განთავსდა ტელევიზიის ვიდეოარქივის შესახებ ინფორმაცია. მომხმარებელს საშუალება მიეცა ინტერნეტის მეშვეობით მოძებნოს პირველ არხის არქივში დაცული მასალები.

საიტის [www.1tv.ge](http://www.1tv.ge) საშუალებით კვლავ ხორციელდება გლობალური სტრიმინგი. ვებ-მაუწყებლობა ვრცელდება არამარტო საქართველოს მასშტაბით, არამედ უცხოეთის ქვეყნებში საიტის ნებისმიერ ვიზიტორს შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს live-ით.

შეიცვალა საიტის [www.gpb.ge](http://www.gpb.ge) დიზაინი. საიტზე განთავსდა მაუწყებლის, სამეურვეო საბჭოს შესახებ ინფორმაცია, ასევე ხდება მაუწყებლის მიერ გამოცხადებული კონკურსებისა და ტენდერების შესახებ ახალი განცხადებების განთავსება და სხვ.

ამჟამად მიმდინარეობს [www.eurovision-georgia.ge](http://www.eurovision-georgia.ge) საიტის დიზაინზე მუშაობა.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ არქივის სამსახური

2008 წლის ოქტომბერი-ნოემბერი-დეკემბერი

ტელევიზიების პროდუქციის კინოფირიდან ციფრულ (DVCAM) მატარებელზე გადმოტანილია 17 აუდიო-ვიზუალური ნაწარმოები, საეთერო მეტრაჟით დაახლოებით 6 სთ.

1. დ/ფ „ქართული ჩაის არომატი“ - 2 ნაწ.
2. გად. „თ. ყუფუნია“ - 2 ნაწ.
3. დ/ფ „ლელოს შემობრუნება“ - 5 ნაწ.
4. მღერის მ. მაგომაევი - 1 ნაწ.
5. დ/ფ „კორნელი სანაძე“ - 2 ნაწ.
6. დ/ფ „სამხატვრო აცადემია 50წ“ - 1 ნაწ.
7. კ. გამსახურდიას ინტერვიუ - 1 ნაწ.
8. ბ. ახმადუღინას ინტერვიუ - 1 ნაწ.
9. ა. ვოზნესენსკის ინტერვიუ - 1 ნაწ.
10. დ/ფ „ი. აბაშიძე“ - 7 ნაწ.
11. დ/ფ „თელავური ნარშავეები“ - 5 ნაწ.
12. პ. ინგოროყვას გამოსვლა - 1 ნაწ.
13. საფონდ. შ. დადიანის კადრები - 3 ნაწ.
14. კ/ჟ „საბჭ. საქართველო 1945წ“ - 1 ნაწ.
15. ე. ახვლედიანის სახლ-მუზეუმი - 1 ნაწ.
16. ლენინის ძეგლების კოლაჟი - 1 ნაწ.
17. მუს/ფ „ყვავილი და ქარიშხალი“ - 2 ნაწ.

დიდი ვიდეოფირებიდან (55 მმ) ციფრულ ( Vჩ ) მატარებელზე გადმოტანილია 11 ერთ. აუდიო-ვიზუალური მასალები, საეთერო მეტრაჟით დაახლოებით 8 სთ.

1. საქართველოს დელეგაცია თათარსტანში;
2. ფოლკლორული საღამოები;
3. სამონტაჟო მასალები;
4. ჯ. პატიაშვილის გამოსვლა და „მოამბე“;
5. სერებრიაკოვის გამოსვლა;

6. «ВРЕМЯ»;
7. ჯ. პატიაშვილი;
8. ექსპრეს-ინფორმაცია;
9. „მოამბე“ - ჯ. პატიაშვილი;
10. ინტერვიუ ვ. კოროტიხთან;
11. პარტაქტივის სხდომა.

- **ვიდეოფონდში** დაცულმა, გაშიფრულმა და სისტემატიზირებულმა (მოწესრიგებული აღრიცხვა, შინაარსობრივი დამუშავება) მასალამ (გადაცემები, მხატვრული, დოკუმენტური და მოკლემეტრაჟიანი ფილმები, სპექტაკლები, სატელევიზიო სპექტაკლები, პროგრამები, სპორტი, მუსიკა და ა.შ.), - შესაბამის კომპიუტერულ პროგრამაში შეადგინა **1 380** ჩანაწერი;
- **აუდიოფონდში** (ოქროს ფონდი - რადიოს მასალები) – **866** ჩანაწერი;

**P.S.** აღწერის მონაცემები შედის არქივის კომპიუტერულ პროგრამაში. აღნიშნული პროგრამა წარმოადგენს მონაცემთა ბაზას MS SQL სერვერზე, რომელიც ჩართულია საზოგადოებრივი მაუწყებლის ლოკალურ კომპიუტერულ ქსელში.

ადმინისტრაციული სამსახური  
2008 წლის ოქტომბერი-ნოემბერი-დეკემბერი

**ფართების გაქირავება – იჯარა**

2008 წლის IV კვარტლის მონაცემით სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელს” ყავს 26 მეიჯარე. ყველა მეიჯარეს, 2008 წლის 12 ივნისის ბრძანება №63-1-ის საფუძველზე (საიჯარო ფართების კატეგორიებად დაყოფისა და შესაბამისი ტარიფის დამტკიცების შესახებ) გაუფორმდათ შეთანხმება და შესაბამისად შეეცვალათ ყოველთვიური საიჯარო გადასახადი. 2008 წლის IV კვარტლის ყოველთვიური საიჯარო ქირის ოდენობა შეადგენდა 81528.90 ლარს.

საიჯარო ქირის დაფარვა მიმდინარეობდა საკმაოდ ნელი ტემპით, ძირითადად იხდიან მიმდინარე დავალებებს. 2008 წლის IV კვარტლის მონაცემით საიჯარო ქირის დავალიანება შეადგენს 109855.60 აშშ დოლარს და 128138.90 ლარს.

შესაბამისი ზომების გატარების მიზნით, 2 მეიჯარის მონაცემი გადაეცა იურიდიულ სამსახურს.

**რემონტები:**

1. ადმინისტრაციული კორპუსის I სართულზე გაკეთდა ახალი სალონი (გარემონტდა);
2. დასრულდა ახალი ნიუსრუმის რემონტი
3. ადმინისტრაციული კორპუსის II სართულზე გადაცემა “კაბარე-5 ვარსკვლავისთვის” გარემონტდა სტუდია;
4. გარემონტდა II კორპუსში მდებარე სტუდია და მისი მიმდებარე სველი წერტილები;
5. გარემონტდა გენერალური დირექტორის მოადგილის, ინფორმაციისა და საზოგადოებრივ პოლიტიკური მიმართულების დარგში ოთახი;

**მატერიალური მარაგების ჩამოწერის ხელისშეწყობის მიზნით:**

1. დაქირავებული იქნა მუშახელი, რომლებმაც დააცარიელეს საწყოები და განათავსეს ეზოს ტერიტორიაზე;
2. უსაფრთხოების მიზნით სტადიონის ტერიტორიაზე, სადაც განთავსდა დეკორაციების ნაწილები, დამონტაჟდა განათება და კამერები;
3. სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე განთავსდა ყველა ის ავტომანქანა, რომელსაც კომპანია არ იყენებს;
4. დაქირავებულ იქნა კომპანია, რომელმაც ეზოს ტერიტორიიდან, უტილიზაციი მიზნით გატანა ის მატერიალური მარაგები, რომელიც უკვე ჩამოიწერა.

## ტექნიკური დეპარტამენტი

2008 წლის ოქტომბერი-ნოემბერი-დეკემბერი

მოგახსენებთ, რომ ოქტობრის თვეში ტელევიზიაში სამუშაოები ჩვეულ რეჟიმში მიმდინარეობდა. ამის გარდა, დავიწყეთ მეორე (საინფორმაციო) სტუდიის სარეჟისოროს და ტექნიკური სააპარატოების მონტაჟი ტელევიზიის შენობის მეორე სართულზე ახლად გარემონტებულ ოთახში.

აღნიშნული სამუშაოები ჩვენი ძალებით ჩატარდა, რითაც საკმაოდ დიდი ეკონომია გავწიეთ.

ნოემბრის თვეში გრძელდებოდა საინფორმაციოს სააპარატოს მონტაჟი აგრეთვე მზადება ახალი გადაცემებისთვის, დამონტაჟდა რადიოს საეთერო სტუდია დაიშალა რადიოს ცენტრალური სააპარატო.

დეკემბრის თვეში კერძოდ 4 დეკემბერს დავიწყეთ ახალი სეზონი. სტუდიები და სამონტაჟოები მუშაობს სრული დატვირთვით.

ამჟამად, მიმდინარეობს მზადება "ევროვიზიისთვის".

არის პრობლემები რაც შეეხება ტელევიზიის პირველი და მეორე არხების აგრეთვე რადიოს პირველი და მეორე არხების გაგრძელებაზე რეგიონებში. რადიო და სატელევიზიო გადამცემები არის მოძველებული, მთელ რიგ რეგიონებში მუშაობს ნახევარი სიმძლავრით ზოგჯერ კი ხშირია ავარიული გამორთვები.

რაც ალბათ სამეთვალყურეო საბჭოს განსჯის საგნად უნდა იქცეს.

## მონიტორინგის სამსახური

2008 წლის ოქტომბერი-ნოემბერი-დეკემბერი

მონიტორინგის სამსახურის ძირითადი საქმიანობაა გადაცემების პროფესიულ სტანდარტებსა და ეთიკის პრინციპებთან შესაბამისობის გაკონტროლება და დარღვევებზე რეაგირება. ასევე, პროფესიული სტანდარტების დარღვევების თაობაზე შემოსული საჩივრების შესწავლა და მათზე რეაგირება. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აღნიშნული სტანდარტების საინფორმაციო პროგრამებში დაცვას.

საანალიზო პერიოდში მონიტორინგის სამსახური აკვირდებოდა საინფორმაციო გამოშვებებს და ინიშნავდა აღმოჩენილ დარღვევებს; ყოველდღიური კონტაქტი ჰქონდა საინფორმაციო სამსახურთან და კვირაში ერთხელ ატარებდა გაფართოებულ შეხვედრას „მოამბის“ ჟურნალისტებსა და პროდიუსერებთან. ამ შეხვედრებზე განიხილებოდა კვირის განმავლობაში აღმოჩენილი დარღვევები და მათი გამოსწორების გზები. დარღვევების შესახებ ანგარიში პერიოდულად ეგზავნებოდა არხის ხელმძღვანელსაც. მონიტორინგის სამსახურმა ტრენინგები ჩაუტარა საინფორმაციო სამსახურის ახალ თანამშრომლებსაც – წამყვანებს, კორესპონდენტებს და ასევე, სტაჟორებს.

მონიტორინგის სამსახური ყოველდღიურად აკეთებდა 16:00 და 20:00 საათიანი საინფორმაციო გამოშვებების მოკლე ანგარიშს, რაც საშუალებას იძლეოდა, შეფასებულიყო, თუ რამდენად სრულად შუქდებოდა მიმდინარე მოვლენები დღის განმავლობაში. ამ ორი გამოშვების ყოველდღიურმა შედარებამ გარკვეული ხარვეზი გამოვლინა პრიორიტეტების განსაზღვრაში, ანუ, ზოგჯერ ზოგიერთი მნიშვნელოვანი ამბავი მხოლოდ დღის გამოშვებაში შუქდებოდა და აღარ გადიოდა პრაიმტიიმში. პრაიმტიიმის „მოამბის“ დაგეგმვისას მთავარი კრიტერიუმი გასაშუქებელი ამბების საინფორმაციო ღირებულება უნდა იყოს. ამაზე მონიტორინგის სამსახურს საუბარი ჰქონდა პროდიუსერებთან.

მონიტორინგის სამსახური ასევე აკეთებდა სამი ტელევიზიის (1-ლი არხი, იმედი, რუსთავი-2) პრაიმტიიმის საინფორმაციო გამოშვებების შედარებით ანალიზს. ეს ანალიზი შესაძლებლობას იძლეოდა, დაგვედგინა ხომ არ რჩებოდა რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა ან საკითხი „მოამბის“ ყურადღების მიღმა, ანუ, შემოწმებულიყო საინფორმაციო სამსახურის ოპერატიულობა და ინფორმირებულობა. სამი ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვებების შედარებამ აჩვენა, რომ „მოამბე“, პრინციპში, ყველა მნიშვნელოვან მიმდინარე მოვლენას აშუქებდა. გარდა ამისა, სხვა ტელევიზიებთან შედარებით, „მოამბე“ უფრო საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე იყო ორიენტირებული (მაგ. საზოგადოების ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე, სოციალურ პრობლემებზე), რაც საზოგადოებრივი მაუწყებლის უპირველესი ფუნქციაა. აღნიშნული შედარების შედეგები ყოველი კვირის ბოლოს ეგზავნებოდა არხის ხელმძღვანელს.

დეკემბრიდან, ახალი გადაცემების გასვლისთანავე, მონიტორინგის სამსახურმა დაიწყო 1-ლი არხის ახალი გადაცემების მონიტორინგი. ამ შემთხვევაშიც ყურადღება მახვილდება პროგრამების პროფესიულ სტანდარტებთან შესაბამისობაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ საანალიზო პერიოდში პროფესიული სტანდარტების დარღვევასთან დაკავშირებით რაიმე საჩივარი მონიტორინგის სამსახურში არ შემოსულა.

## მარკეტინგისა და გაყიდვების სამსახური 2008 წლის ოქტომბერი-ნოემბერი-დეკემბერი

### მარკეტინგის სამსახური

I არხის განახლებული ეთერით გასვლასთან დაკავშირებით მარკეტინგის სამსახურმა ჩაატარა შემდეგი სამუშაოები:

- განახლებული I არხის ლოგოს და ფერის ტესტირება. კვლევისათვის გამოყენებული იქნა თვისობრივი კვლევის - ჯგუფური დისკუსიის მეთოდი. ფოკუსურ ჯგუფებზე გამოყენებული იყო პროექციული მეთოდი – თავისუფალი ასოციაციები და პერსონიფიკაცია, რომელიც გულისხმობს გარკვეული საკითხების კვლევას არაპირდაპირი გზით, კვლევის ობიექტისადმი რესპონდენტთა პიროვნული დამოკიდებულებების, განწყობების კვლევის მიზნით.
- Brain storming-ების ჩატარება ტელევიზიის თანამშრომლებთან ერთად არხის სლოგანის შესამუშავებლად.
- არხის გადაცემებისთვის (“საქართველოს დიდი ათეული”, “სამოთხის ვაშლები”, “მე მიყვარს საქართველო”, “მოამბე”, “ალიონი,” ”ცხოვრება მშვენიერია”) პრომო აქციების დაგეგმვა, სარეკლამო ბიუჯეტის შემუშავება.
- გარე რეკლამის დაგეგმვა და განთავსება. პოლიგრაფიულ სტამბებთან და სარეკლამო კომპანიებთან ურთიერთობა. სხვადასხვა გადაცემების საიმიჯო ბანერების განთავსება ქუჩის ბილბორდებზე (თბილისი და რეგიონები), თბილისის მეტროში, ავტობუსებზე. ტელევიზიის შერობის გარე ფასადის შეფუთვა.
  - ყველა გადაცემის წამყვანის ფოტოსესიის დაგეგმვა
  - პორტატული ბილბორდებისთვის ბანერების და სხვა სარეკლამო პლაკატების დაბეჭდვის ორგანიზება.
- გარე რეკლამის მონიტორინგი;
- ტელევიზიის მანქანების შეფუთვის ორგანიზება;
- საახალწლო კორპორატიული ღონისძიების დაგეგმვა და განხორციელება;
- საახალწლო კორპორატიული ღონისძიებისთვის სასაჩუქრე პაკეტების და დარბაზის შესაფუთი ატრიბუტიკის შერჩევა და დაკვეთა;
- სატელევიზიო ბაზრის მონიტორინგი

სისტემატურად მიმდინარეობდა სატელევიზიო ბაზრის მონიტორინგი. მონიტორინგი ხდება “people meters” –ების საშუალებით.

- ყოველდღიურად მზადდება სარეიტინგო მონაცემები ქართულ სატელევიზიო სივრცეში არსებულ ტელეარხებზე, სატელევიზიო გადაცემებზე. განიხილება და ანალიზდება ტელემაყურებელთა სამომხმარებლო ქცევის ტენდენციები.
- მომზადდა სარეიტინგო მასალა ტელეგადაცემების დინამიკის შესასწავლად.

- სატელევიზიო პროექტების მიმართულების პროდუსერებთან სისტემატურად მიმდინარეობს ტელეაუდიტორიის ქცევის ანალიზი.
- ანალიზის შედეგად რეკომენდაციების შემუშავება გადაცემების გაუმჯობესების მიზნით.
- მომზადდა ინფორმაცია ევროპის მაუწყებელთა კავშირისათვის სარეიტინგო მასალა XXIX ოლიმპიური თამაშების შესახებ.

**საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის სამსახური**

არხის რებრენდინგთან დაკავშირებული PR აქტივობები:

- სტატიების (ინტერვიუები გადაცემების წამყვანებთან/პროდიუსერებთან/არხის ხელმძღვანელობასთან) განთავსება ჟურნალ-გაზეთებში;
- პრეს-კონფერენციის ორგანიზება ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებთან – შესხვედრა ლევან ყუბანიეშივითან და სამომავლოდ პრესასთან ურთიერთობის დაგეგმვა;
- მოქალაქეების წერილების აღრიცხვა და სატელეფონო ზარებზე პასუხის გაცემა/შესაბამისი სამსახურების ყურადღების მიპყრობა მოქალაქეების საჩივრებსა თუ წერილებზე;
- არხის პრ აქციებისთვის სხვადასხვა სარეკლამო ატრიბუტიკის შექმნა/დაკვეთა – “საქართველოს დიდი ათეული” აქციების დაგეგმვა და სარეკლამო მასალის განთავსება (ურთიერთობა განათლების სამინისტროსთან/სხვადასხვა ორგანიზაციებთან პროექტის გაპიარებისთვის);
- პოლიგრაფიულ სტამბებთან და სარეკლამო კომპანიებთან ურთიერთობა არხის გარე რეკლამის დასამზადებლად და განსათავსებლად, ყველა გადაცემის წამყვანის ფოტოსესიის ორგანიზება ბილბორდებზე განსათავსებლად (ბილბორდები ქალაქში და ტელევიზიის ფასადზე);
- საბავშვო და დიდების ევროვიზიის პრ აქციების დაგეგმვა და უზრუნველყოფა;
- ურთიერთობა საელჩოებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან/მედიის სხვა საშუალებებთან – არხზე მიმდინარე პროცესებზე ინფორმაციის მიწოდება;
- საახალწლო კორპორატიული წვეულების ორგანიზებაში მონაწილეობის მიღება

**სარეკლამო სამსახური**

2008 წლის ოქტომბერი		
დამკვეთი	ხელშეკ. №	რეკლამის ღირებულება
შპს "თი-ბი-სი ტვ"	186-3	1319,20
შპს "მედია-არტი"	1-4	2335,92
შპს "ფლამინგო 2007"	174-6	297,00
შპს "ტვ ინტერნეიშენელი"	174-7	221,67
შპს "კალა 21"	176-6	122,00
შპს "კონტრასტი"	217-2	188,10
სს "ჰიუნდაი საქ."	114-2	160,00

ბარტერი

კალათბურთის ფედ-ცია	11-4	500,00	ბარტერი
შპს "ფეხ.მედია უფლ.-ბი"	161-2	10200,00	ბარტერი
ჯამი:		17072,96	

2008 წლის ნომბერი			
დამკვეთი	ხელშეკ. №	რეკლამის ღირებულება	
შპს "უნივერს.მაკ.ჯორჯ."	211-14	495,00	
შპს "მედია-არტი"	1-4	892,30	
შპს "ბერნდჰაუსი"	201-4	3001,74	
შპს "ბერნდჰაუსი"	206-4	1514,88	
შპს "დელტა მედია"	200-7	1001,50	
შპს "ქართული რაგბი"	208-13	500,00	
შპს "ტვ ინტერნეიშენელი"	215-12	113,60	
შპს "საქართ.ნაც.ავ.-ბი"	193-2	1569,88	
შპს "საქართ.ნაც.ავ.-ბი"	192-6	2000,00	
შპს "ეი ბი სერვისი"	214-9	291,67	
შპს "სგს"	139-3	3167,48	
შპს "კონტრასტი"	217-2	128,70	
კალათბურთის ფედ-ცია	11-4	750,00	ბარტერი
ჯამი:		15426,75	

2008 წლის დეკემბერი			
დამკვეთი	ხელშეკ. №	რეკლამის ღირებულება	
შპს "მერლინი +"	229-8	490,00	
შპს "საქ. გლობალ. სისტ."	139-3	2441,94	
შპს "ეი სი ჯგუფი"	69-5	3403,90	
ი/ს "ციცინო სიჯაკაძე"	229-6	605,96	
შპს "ემ-მედიატორი"	229-11	5740,00	
შპს "თი-ბი-სი ტვ"	236-10	815,65	
შპს "აქსისი"	229-21	1257,12	

"გლობალ.ინიციატ.ფს-ში"	218-7	425,00	
შპს "თელიანი თრეიდინგი"	227-3	2094,17	ბარტერი
შპს "ცენტრი"	233-2	2805,00	ბარტერი
კავშირი "სპფლ"	216-9	1000,00	ბარტერი
სს "ჰიუნდაი ავტო საქ."	114-2	5827,00	ბარტერი
სს"სასტ.და რესტ.მენეჯ.ჯგ."	35-3	3217,50	ბარტერი
ჯამი:		30123,24	

## “პირველი თემა”

თოქ-შოუ “პირველი თემა” 2008 წლის 4 დეკემბრიდან ეთერში განახლებული სტუდიითა და ფორმატით გადის. გადაცემის ქრონომეტრაჟი ერთ საათს შეადგენს, რაც საშუალებას იძლევა მთავარი პოლიტიკური (და არა მხოლოდ პოლიტიკური, ასევე სხვადასხვა სფეროს მნიშვნელოვანი მოვლენები) გადაცემაში წარმოდგენილი იყოს დეტალურად. გადაცემა ეთერშია კვირაში ორჯერ – სამშაბათსა და ხუთშაბათს, 23 საათზე.

გადაცემის სტუმრები არიან როგორც პოლიტიკოსები – ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლები, დამოუკიდებელი ექსპერტები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები. გადაცემის ფორმატი ითვალისწინებს დებატებს, შესაბამისად ახალი საეთერო სეზონიდან “პირველი თემის” სტუდიაში რამდენჯერმე შედგა დებატები.

4 დეკემბრიდან ტოქ-შოუში გაშუქდა როგორც პოლიტიკური, ასევე სოციალური თემატიკა და სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები. დიდი დრო დაეთმო რუსეთ-საქართველოს ომის შედეგებზე დისკუსიას, შიდა პოლიტიკურ პროცესების, სამთავრობო ცვლილებების, ოპოზიციური ალიანსების, საკანონმდებლო ინიციატივების განხილვას. თოქ-შოუს თემა ასევე იყო ამერიკასა და საქართველოს შორის გაფორმებული ჩარჩო-დოკუმენტი, რუსული აგრესიის შედეგების შემსწავლელი საპარლამენტო კომისიის დასკვნა, სახალხო დამცველის ანგარიში, ფინანსური კრიზისი და ოპოზიციის მიერ გამოქვეყნებული დეკლარაცია.

პოლიტიკურ თემებთან ერთად მიმდინარე თვეში გადაცემაში გაშუქდა პროექტ “დიდ ათეულთან” დაკავშირებით შექმნილი ვითარება. დებატებში საზოგადოების ცნობილი სახეები, ასევე თეოლოგები და ისტორიკოსები მონაწილეობდნენ.

პირველ თემაში რამდენჯერმე შედგა პოლიტიკური დებატები ოპოზიციისა და ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის. დეკემბერსა და იანვარში თოქ-შოუს სტუმრები იყვნენ ზურაბ ნოღაიდელი, ლევან ვეფხვაძე, გოკა გაბაშვილი, ლაშა ჟვანია, გიორგი თარგამაძე, აკაკი მინაშვილი, დავით გამყრელიძე, პავლე კუბლაშვილი, გია ცაგარეიშვილი, ლევან გაჩეჩილაძე, კახა კუკავა, გურამ ჩახვაძე, მურთაზ ზოდელავა, პაატა დავითაია, გიორგი გოგუაძე, ნიკა გილაური, გივი თარგამაძე, გია თორთლაძე, ჯონდი ბაღათურია, ლაშა თოდრია, დავით უსუფაშვილი, სოზარ სუბარი, გია არსენიშვილი, დავით დარჩიაშვილი, ნიკა ლალიაშვილი, ნიკა ენუქიძე, ვახტანგ ბუცხრიკიძე, თიკა რუხაძე, თორნიკე აბულაძე, დათო მაღრაძე, ლევან აბაშიძე, ლაშა თაბუკაშვილი, ქეთი დუმბაძე, ლევან ღვინჯილია, ვახტანგ გურული, ზურაბ აბაშიძე, ლაშა ტუღუში, რამაზ საყვარელიძე, გია ხუხაშვილი, აკაკი ასათიანი, ნუგზარ წიკლაური, ზვიად ძიძიგური, გიგი წერეთელი, ირაკლი მელაშვილი, შოთა გვენეტაძე.

თოქ-შოუში საკუთარი პოზიციების წარმოდგენის საშუალება ქონდათ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს, ასევე განსხვავებული მოსაზრებების მქონე ექსპერტებსა და საზოგადოებისთვის ცნობილ ადამიანებს. გადაცემაში განვლილი პერიოდის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა გაშუქდა.

## **”მე მიყვარს საქართველო”**

2009 წლის დეკემბერი

ახალი პროექტი, რომლის ანალოგიც ხორციელდება რამდენიმე ქვეყანაში, პირველმა არხმა შეიძინა ჰოლანდიური ტელევიზიისგან.

გადაცემა ეთერში გადის თვეში ოთხჯერ და მასში მონაწილეობას იღებენ ცნობილი საახეები.

გადაცემა არის შემეცნებით-გასართობი ფორმატის, მოიცავს ყველა ასაკობრივ სეგმენტს, არის მასობრივი, საინტერესო და სახალისო.

გადაცემა აღვიძებს პატრიოტულ გრძნობას და მაყურებელს აძლევს საშუალებას უკეთ გაეცნოს საქართველოს ისტორიას.

ამ ფორმატის მსგავსი გადაცემა ქართულ ტელევიზორულ ეთერში არ განხორციელებულა და მისი რეიტინგი ყოველი გადაცემის შემდეგ მატულობს.

## „საქართველოს დიდი ათეული“

2009 წლის დეკემბერი

ტელეფორმატი 2002 წელს, ბრიტანულ „BBC“ - ის მიერ შეიქმნა და უდიდესი წარმატებაც მოიპოვა. ბრიტანელთა თავშეკავებულობის გათვალისწინებითაც კი, ფორმატი მაშინვე ზოგადეროვნულ სკანდალად იქცა. „დიდი ბრიტანელის“ ტიტულისთვის კამათობდნენ ყველგან – ლორდთა პალატაშიც და ავტობუსის გაჩერებაზეც. ფორმატი მალევე გახდა ინტერნაციონალური და მსოფლიოს 25 ქვეყანაში განხორცილდა. გადაცემაში თითოეულ მოქალაქეს შეუძლია ხმა მისცეს და უგულშემატკივროს მისი აზრით, დიდ ქართველს – მნიშვნელობა არ აქვს, რჩეული მეფე იქნება, მწერალი.

ხმის მიცემის პროცესი საქართველოში 7 თვის მანძილზე გაგრძელდება. ყოველ შაბათს, „პირველი არხის“ ეთერში ეწყობა თოქ-შოუ, სადაც საკუთარ კანდიდატებს დაიცავენ ლობისტები („ადვოკატები“) – საზოგადოების ცნობილი სახეები და საინიციატივო ჯგუფები. „ადვოკატებს“ ყველაფრის გაკეთება შეუძლიათ თავისი ნომინანტის პოპულარიზაციისთვის – ორიგინალური აქციების გამართვით დაწყებული და ბიოგრაფიების უცნობი დეტალების გამოქვეყნებით დასრულებული.

საბოლოო გადაწყვეტილებას მაინც ტელემაყურებელი, ანუ ქართველი ხალხი მიიღებს. პროექტის გუნდი საზოგადოებას მიაწვდის მაქსიმალურ ინფორმაციას „დიდი ქართველობის“ კანდიდატთა შესახებ – ბიოგრაფიებს, სხვადასხვა დღემდე უცნობ ფაქტებს ამა თუ იმ პიროვნების ცხოვრებიდან. მასალები განთავსდება ვებ-გვერდზე, დარიგდება ბროშურების სახით, გარცელებს პრესაში, კანდიდატების შესახებ გადაღებული იქნება მიკრო-ფილმები.

პირველი არხის ეთერში გამოცხადებული ინტერქტივით ერი თავის რჩეულ ათეულს შეადგენს, რომელთაგან ყველაზე დიდი ქართველი 9 აპრილს გამოცხადდება.

პირველი არხის ეთერში გადაცემა გადის ყოველ პარასკევს საღამოს ეთერში

## ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

### “საზოგადოებრივი მაუწყებლის” მიერ 2008 წელს საბიუჯეტო სახსრებიდან გაწეული ხარჯების შესახებ

#### **შესავალი**

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებელი” “საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად ფინანსირდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. 2008 წელს ამ მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ იქნა 24 902 392 ლარი. აღნიშნული სახსრების ხარჯვას მაუწყებელი ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ანგარიშიდან, “სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ ვალდებულების აღებისა და ხარჯების გაწევის წესის შესახებ” ინსტრუქციის შესაბამისად. ასევე, “საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ” და “საზოგადოებრივი მაუწყებლის” შესახებ საქართველოს კანონების საფუძველზე მაუწყებელს გახსნილი აქვს ანგარიში კომერციულ ბანკში. (ს.ს. “საქართველოს ბანკი”), რომელზეც ხორციელდება მაუწყებლის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების აკუმულირება და მისი ხარჯვა. ამასთან, საბიუჯეტო და ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული სახსრების ხარჯვას მაუწყებელი ახორციელებს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

#### **შრომის ანაზღაურება**

2008 წელს საბიუჯეტო სახსრებიდან მაუწყებლის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებაზე მიიძარტა 8 956.7 ათასი ლარი, რაც 2008 წელს საბიუჯეტო სახსრებიდან გაწეული საერთო ხარჯების 35.9%-ს შეადგენს.

#### **სამივლინებო ხარჯები**

მივლინებებზე 2008 წელს საბიუჯეტო სახსრებიდან გაწეული ხარჯების საერთო ოდენობამ შეადგინა 434.9 ათასი ლარი. აღნიშნული სახსრები მიიმართა შიდა და საგარეო მივლინებების დასაფინანსებლად.

### ოფისის ხარჯები

2008 წელს საბიუჯეტო სახსრებიდან ოფისის ხარჯებზე გაწეულ იქნა 307.2 ათასი ლარი, რაც მაუწყებლის მიერ ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯების 1.23%-ს შეადგენს. აღნიშნული ხარჯების დიდი წილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- ჟურნალ-გაზეთების მოწოდება - 11.6 ათასი ლარი;
- პოლიგრაფიული მომსახურება – 15.1 ათასი ლარი;
- კატრიჯების დატენვა და გამოცვლა, შეძენა –16.8 ათასი ლარი;
- შენობისა და მიმდებარე პერიმეტრის დაცვის ხარჯები – 185.3 ათასი ლარი;
- სამეურნეო საქონელი – 41.9 ათასი ლარი;
- ქაღალდი და საკანცელარიო საქონელი– 9.2 ათასი ლარი;
- წარმომადგენლობითი ხარჯები – 12.2 ათასი ლარი;
- განცხადებების გამოქვეყნება – 10.3 ათასი ლარი;
- სხვა ოფისის ხარჯები – 2.9 ათასი ლარი.

### კომუნალური ხარჯები

საანგარიშო პერიოდში საბიუჯეტო სახსრებიდან კომუნალურ ხარჯებზე მიიმართა 904.1 ათასი ლარი. მათ შორის:

- ს.ს. “თელასი” (ელექტროენერჯის საფასური) – 294 ათასი ლარი;
- შპს „თბილწყალკანალი“ (წყლის საფასური) – 493.8 ათასი ლარი;
- ინტერნეტი და ვებმაუწყებლობა – 66.5 ათასი ლარი;
- საკურიერო მომსახურება – 34.2 ათასი ლარი;
- დეზინფექცია-დერატიზაცია – 5.3 ათასი ლარი;
- დასუფთავების მოსაკრებელი – 10.2 ათასი ლარი.

### საკომუნიკაციო ხარჯები

მაუწყებლის მიერ 2008 წელს სხვადასხვა სახის საკომუნიკაციო ხარჯებზე საბიუჯეტო დაფინანსებიდან სულ მიიმართა 2 450.3 ათასი ლარი. მათ შორის:

- კომპანია “მაგთიკომი” – 35.8 ათასი ლარი;
- კომპანია “ჯეოსელი” – 110.7 ათასი ლარი;
- სატელეფონო ხარჯები – 264.6 ათასი ლარი;
- საინფორმაციო ცენტრი 09 – 4.7 ათასი ლარი;
- რაციებით მომსახურების ხარჯი– 3 ათასი ლარი;
- სატელიტის მომსახურება (საზღვარგარეთ სატელევიზიო სიგნალის გავრცელება, სატელიტისთვის კოსმოსური სეგმენტის ქირაობა) – 552.9 ათასი ლარი;
- სარელო ხაზები (ტელე და რადიოსიგნალის გავრცელება სარელო ხაზების მეშვეობით, საქართველოს რეგიონებიდან ინორმაციის გადმოგორება) – 370.6 ათასი ლარი;
- საქართველოს ტერიტორიაზე ტელე და რადიოსიგნალის გავრცელება 1 080 ათასი ლარი;
- საკაბელო მომსახურება – 7 ათასი ლარი;
- ოპტიკურ-ბოჭკოვანი წყვილით მომსახურება – 14.6 ათასი ლარი;
- კაბელების გატარება ჭებში – 5.7 ათასი ლარი;

### ინფორმაციის მიღების (გადმოგორება) ხარჯები

2008 წელს ინფორმაციის მიღების (უცხოეთიდან ინფორმაციის გადმოგორება, პირდაპირი ჩართვები და ა.შ.) ხარჯებზე საბიუჯეტო სახსრებიდან მიიმართა 917.5 ათასი ლარი. მათ შორის:

- EBU (ევროპის მაუწყებელთა კავშირი) – 614.1 ათასი ლარი;
- R.R. Satelate – 76.9 ათასი ლარი;
- IHLAS NEWS AGENCY – 19.7 ათასი ლარი;

- ოლიმპიადასთან დაკავშირებული ტექნიკური ხარჯები 43 ათასი ლარი;
- სხვა საინფორმაციო სააგენტოები – 63 ათასი ლარი.

### ინფორმაციის შექმნის ხარჯები

2008 წელს ინფორმაციის შექმნის ხარჯებზე მაუწყებლის მიერ ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ანგარიშიდან მიიმართა 84.2 ათასი ლარი. მათ შორის:

- REUTER – 66.8 ათასი ლარი;
- ახალი ამბები – 6.2 ათასი ლარი;
- შპს “ჯეოჰოტნიუსი”– 6 ათასი ლარი;
- შპს “მედიანიუსი” – 2.1 ათასი ლარი;
- შპს “კავკასპრესი”– 2.4 ათასი ლარი

### რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შექმნის ხარჯები

2008 წელს მაუწყებლის საბიუჯეტო სახსრებიდან აღნიშნულ ხარჯებზე მიიმართა 23.4 ათასი ლარი (მათ შორის, ძირითადი ნაწილი წამყვანების ტანსაცმელზე).

### სხვა ხარჯები

აღნიშნული კატეგორიაში მოქცეულია 2007 წელს მაუწყებლის საბიუჯეტო სახსრებიდან გაწეული სხვადასხვა ხარჯები – 57.4 ათასი ლარი. მათ შორის:

- საპარიკმახერო-კოსმეტიკური ნაწარმის შექმნა – 1.5 ათასი ლარი;
- კომპიუტერული პროგრამის შექმნა 0.9 ათასი ლარი;
- ”კოდექსის” შექმნა – 2.4 ათასი ლარი;
- ჰიდრომეტეოროლოგიური ინფორმაციის შექმნა – 8.4 ათასი ლარი;
- სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები – 44 ათასი ლარი.

### მარკეტინგის ხარჯები

მარკეტინგის ხარჯებზე 2008 წელს მაუწყებლის მიერ საბიუჯეტო დაფინანსების წყაროდან გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 164.9 ათასი ლარი. მათ შორის:

- თვითრეკლამის ხარჯები – 116.1 ათასი ლარი;
- PEOPLEMETR – 48.8 ათასი ლარი.

### 2008 წლის საწევროები

საანგარიშო პერიოდში მაუწყებლის მიერ დაფარულ იქნა ევროპის მაუწყებელთა კავშირის (EBU) წევრობის 2008 წლის საგადასახადო ყოველთვიური და კვარტალური მოსაკრებლები, რომელმაც შეადგინა 134.4 ათასი ლარი.

### სასამართლო, ექსპერტიზა, იურიდიული და საკონსულტაციო მომსახურება და სხვა

2008 წელს აღნიშნულ ხარჯებზე საბიუჯეტო სახსრებიდან 47 ათასი ლარი მიიმართა მაუწყებლის 2007 წლის წლიური აუდიტის ჩატარებაზე.

### წინა პერიოდის დავალიანებათა დაფარვა

მაუწყებლის წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვაზე საანგარიშო პერიოდში ეკონომიკური საქმიანობიდან მიიმართა 4 402.4 ათასი ლარი (EUTELSAT )

### სპორტული ღონისძიებები

2008 წელს მაუწყებლის მიერ საბიუჯეტო სახსრებიდან 803.8 ათასი ლარი მიიმართა სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების ლიცენზიების შეძენაზე. მათ შორის:

- 2010 წლის ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატი – 244.1 ათასი ლარი;
- 2008 წლის ზაფხულის ოლიმპიადის ლიცენზია და ტექნიკური მხარდაჭერის ხარჯი – 393.4 ათასი ლარი;

- ფეხბურთი (საქართველოს ეროვნული ნაკრების გასვლითი მატჩები) – 144 ათასი ლარი;
- თავისუფალი ჭიდაობისა და ძიუდოს 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის ლიცენცია – 15.2 ათასი ლარი.

### სატელევიზიო გადაცემები და პროგრამები

სატელევიზიო გადაცემებსა და პროგრამებზე საანგარიშო პერიოდში მაუწყებლის მიერ საბიუჯეტო დაფინანსების წყაროდან მიიმართა 1 786.8 ათასი ლარი. მათ შორის აღსანიშნავია ქვემოთ ჩამოთვლილ სატელევიზიო და სხვა პროექტებზე გაწეული ხარჯები:

- საავტორო გადაცემა კინოზე – 8 ათასი ლარი;
- გადაცემა “ ეტალონი” – 174.9 ათასი ლარი;
- “სტუდენტური პერსპექტივა” – 163.5 ათასი ლარი;
- საავტორო გადაცემა “წითელი ზონა” – 13.2 ათასი ლარი;
- საახალწლო გადაცემა – 499.9 ათასი ლარი;
- “ბასტი ბუბუს” შოუ – 28.7 ათასი ლარი;
- დოკუმენტური ფილმი “წითლები” – 56.4 ათასი ლარი;
- ქართული ხმები – 13.4 ათასი ლარი;
- სერიალის გადაღება – 180 ათასი ლარი;
- მუსიკალური კონკურსი “ხუთი ვარსკვლავი” – 24.5 ათასი ლარი;
- შემეცნებითი გადაცემა “მე მიყვარს ჩემი ქვეყანა” – 90 ათასი ლარი;
- გადაცემა ავტომოყვარულთათვის – 18.1 ათასი ლარი;
- გადაცემა მომხმარებლისათვის – 31.4 ათასი ლარი;
- თოქ-შოუ “ცხოვრება მშვენიერია” – 35 ათასი ლარი;
- გადაცემა “მოწვიტე წამი” – 18 ათასი ლარი;
- საბავშვო გადაცემები – 56 ათასი ლარი;
- გადაცემა “საქართველოს დიდი ათეული” – 129.5 ათასი ლარი;
- საავტორო გადაცემა “ლამის საუბრები” – 28.6 ათასი ლარი;
- სატელევიზიო გადაცემა “შვიდი დღე” – 76.9 ათასი ლარი.

### ევროვიზიის ხარჯები (მ.შ საბავშვო)

ევროვიზიის ხარჯებზე 2008 წელს საბიუჯეტო სახსრებიდან მიიმართა 264.8 ათასი ლარი. მათ შორის საბავშვოზე – 39.8 ათასი ლარი. აღნიშნულ პროექტებზე დახარჯული თანხების ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ ხარჯებზე:

- ევროვიზიის კონცერტის წაყვანა – 1.2 ათასი ლარი;
- ევროვიზიის კონცერტის ბილეთების შექმნა – 6 ათასი ლარი;
- ევროვიზიის დელეგაციის ცხოვრების ხარჯები – 32.1 ათასი ლარი;
- შიდა შესარჩევი კონცერტისათვის სპორტის სასახლის აღდგენა – 31.8 ათასი ლარი;
- კონკურსისათვის საჭირო აპარატურის ქირაფნობა – 57.2 ათასი ლარი;
- შიდა შესარჩევი კონცერტის გახმოვანება – 12 ათასი;
- ქორეოგრაფია – 9.8 ათასი ლარი;
- მონაწილეთა იმიჯზე ზრუნვა – 10.6 ათასი ლარი;
- კოსტუმების მომზადება – 9.3 ათასი ლარი;

### რადიოგადაცემები

2007 წელს აღნიშნულ ხარჯებზე საბიუჯეტო სახსრებიდან მიიმართა 22.8 ათასი ლარი. აღნიშნული ხარჯები მთლიანად მოხმარდა რადიოგადაცემებისათვის სცენარების, პროექტებისა და რადიო-დადგმების მომზადებას.

### ფილმებისა და სერიალების შექმნა და თარგმნა-გახმოვანება

2008 წელს საბიუჯეტო დაფინანსების წყაროდან მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმებისა და სერიალების შექმნა და თარგმნა-გახმოვანებაზე მიიმართა 1 365.7 ათასი ლარი. მათ შორის ფილმების (სერიალების) და სხვა სატელევიზიო პროექტების სატელევიზიო ეთერში ჩვენების ლიცენზიების შესყიდვის ხარჯებმა შეადგინა – 1 204.9 ათასი ლარი, ხოლო სატელევიზიო თარგმნა-გახმოვანების ხარჯებმა – 160.7 ათასი ლარი

## ტრანსპორტისა, ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის

### ხარჯები

მაუწყებლის მიერ საანგარიშო პერიოდში ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა შენახვაზე საბიუჯეტო სახსრებიდან გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 533.8 ათასი ლარი. მათ შორის:

- საწვავის შეძენა 480 ათასი ლარი;
- სატრანსპორტო მომსახურება (მ.შ. რეგიონებში არსებული სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებული ხარჯები – 18.7) – 46.8 ათასი ლარი;
- ავტომობილების სათადარიგო ნაწილები 6.9 ათასი ლარი.

### ტექნიკის და სხვა ინვენტარის შეძენა

2008 წელს საბიუჯეტო დაფინანსების წყაროდან აღნიშნული ხარჯების დასაფინანსებლად მიიმართა 1 083.8 ათასი ლარი. აღნიშნული ხარჯები გადანაწილდა შემდეგ ძირითად კატეგორიებზე:

- კონდენციონერების შეძენა დამონტაჟება – 17.8 ათასი ლარი;
- ავტომანქანის შეძენა – 54.4 ათასი ლარი;
- ოლიმპიადის ტექნიკა (თეფშები და მონტაჟი) – 117.8 ათასი ლარი;
- განათება, დეკორატიული განათება, სპეცნათურები – 125.3 ათასი ლარი;
- სტუდიური და სატელევიზიო ტექნიკის შეძენა - 561.7 ათასი ლარი;
- სატელევიზიო ტექნიკის აქსესუარების შეძენა - 81.1 ათასი ლარი;
- ტრანქული რადიოკავშირის სისტემის შეძენა – 36.9 ათასი ლარი;
- სასიგნალო წრედების, ძალოვანი და კომპიუტერული კაბელების შესყიდვა – 83.5 ათასი ლარი;
- რადიომაუწყებლობის აპარატურის შეძენა – 95.6 ათასი ლარი;
- ტექნიკის აქსესუარები და სათადარიგო ნაწილები – 81 ათასი ლარი;
- ეკრანის შეძენა – 293 ათასი ლარი;
- კასეტების შეძენა – 159.7 ათასი ლარი.

### საოფისე და სტუდიური ავეჯი

მაუწყებლის მიერ საანგარიშო პერიოდში ახალი სტუდიებისა და საოფისე ავეჯის შექმნაზე საბიუჯეტო სახსრებიდან მიიმართა 19.8 ათასი ლარი.

### სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები

2008 წელს საბიუჯეტო სახსრებიდან სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების დასაფინანსებლად მიიმართა 16.3 ათასი ლარი (რკინის კონსტრუქციის დამზადება, შეღებვა და კონსტრუქციაზე ბანერების განთავსება)

### დეკორაციების დამზადება-შექმნა

მაუწყებლის მიერ საანგარიშო პერიოდში დეკორაციების დამზადება შექმნაზე (ევროვიზიის დეკორაცია) საბიუჯეტო სახსრებიდან მიიმართა 119.3 ათასი ლარი.

## ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

### “საზოგადოებრივი მაუწყებლის” მიერ 2008 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან გაწეული ხარჯების შესახებ

#### შრომის ანაზღაურება

2008 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან მაუწყებლის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 476 ათასი ლარი, რაც 2008 წელს საბანკო ანგარიშიდან გაწეული საერთო ხარჯების 6.1%-ს შეადგენს.

#### სამიველინებო ხარჯები

მივლინებებზე 2008 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან გაწეული ხარჯების საერთო ოდენობამ შეადგინა 395.1 ათასი ლარი. აღნიშნული სახსრები მიიმართა შიდა და საგარეო მივლინებების დასაფინანსებლად.

### ოფისის ხარჯები

2008 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან ოფისის ხარჯებზე გაწეულ იქნა 139.1 ათასი ლარი, რაც მაუწყებლის საბანკო ანგარიშიდან გაწეული ხარჯების 1.78%-ს შეადგენს. აღნიშნული ხარჯების დიდი წილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- კაბელები (ტექნიკური, სამეურნეო და სხვა დანიშნულების) – 14.1 ათასი ლარი;
- სამეურნეო საქონელი – 37.4 ათასი ლარი;
- ელექტრო საქონელი – 24.5 ათასი ლარი;
- წარმომადგენლობითი ხარჯები – 23.6 ათასი ლარი;
- საკანცელარიო საქონელი – 8.2 ათასი ლარი;
- პოლიგრაფიული მომსახურება – 7.6 ათასი ლარი

### კომუნალური ხარჯები

საანგარიშო პერიოდში მაუწყებლის საბანკო ანგარიშიდან კომუნალურ ხარჯებზე მიიმართა 149.8 ათასი ლარი. მათ შორის:

- მაუწყებლის მოსკოვის ბიუროს ხარჯები (საცხოვრებელი ბინის ქირა, ტელეფონი, ინტერნეტი) – 21.8 ათასი ლარი.
- დასუფთავების სამსახური – 125.6 ათასი ლარი.
- სხვა კომუნალურ ხარჯები – 2.4 ათასი ლარი.

### სივნალის გავრცელება საქართველოში, საზღვარგარეთ და სხვა საკომუნიკაციო ხარჯები

მაუწყებლის მიერ 2008 წელს სხვადასხვა სახის საკომუნიკაციო ხარჯებზე ეკონომიკური საქმიანობიდან სულ მიიმართა 76.2 ათასი ლარი.

### ინფორმაციის მიღების (გადმოგორება) ხარჯები

2008 წელს ინფორმაციის მიღების ხარჯებზე (უცხოეთიდან ინფორმაციის გადმოგორება, პირდაპირი ჩართვები და ა.შ.) ეკონომიკური საქმიანობიდან მიიმართა 76.4 ათასი ლარი. მათ შორის:

- EBU (ევროპის მაუწყებელთა კავშირი) – 3.4 ათასი ლარი;
- R.R. Satelate – 45.7 ათასი ლარი;
- IHLAS NEWS AGENCY – 2.1 ათასი ლარი;
- სხვა საინფორმაციო სააგენტოები – 25.1 ათასი ლარი.

### რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯები

2008 წელს მაუწყებლის საბანკო ანგარიშიდან აღნიშნულ ხარჯებზე მიიმართა 35.1 ათასი ლარი (წამყვანების ტანსაცმელზე და ქსოვილებზე).

### სხვა ხარჯები

აღნიშნული კატეგორიაში მოქცეულია 2008 წელს მაუწყებლის საბანკო ანგარიშიდან გაწეული სხვადასხვა ხარჯები. მათ შორის:

- იურიდიული მასალების თარგმნა - 6.3 ათასი ლარი;
- ვირტუალური სტუდიის პროგრამის იჯარა – 54.6 ათასი ლარი;
- საბანკო მომსახურება - 21.3 ათასი ლარი;
- კომპიუტერული პროგრამის შეძენა – 1 ათასი ლარი;
- საპარიკმახერო და კოსმეტიკური ნაწარმი 18.1 ათასი ლარი;
- მიწისა და ქონების გადასახადი 441.3 ათასი ლარი;
- „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ რებრენდინგის მომსახურების შესყიდვა – 640.4 ათასი ლარი;
- სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები – 181.3 ათასი ლარი.

### მარკეტინგის ხარჯები

მარკეტინგის ხარჯებზე 2008 წელს მაუწყებლის მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან დახარჯულია 178.8 ათასი ლარი. მათ შორის:

- თვითრეკლამის ხარჯები 144 ათასი ლარი;

- ავტობუსებზე სარეკლამო ბანერების განთავსება 3 ათასი ლარი;
- მედიის პანელური კვლევა (სატელევიზიო ბაზრის სეგმენტირების კვლევა) - 19.9 ათასი ლარი;
- ფოკუს ჯგუფები 11.9 ათასი ლარი.

### 2008 წლის საწევროები

საანგარიშო პერიოდში მაუწყებლის მიერ დაფარულ იქნა ევროპის მაუწყებელთა კავშირის (EBU) წევრობის სავალდებულო ყოველთვიური გადასახადი, რომელმაც შეადგინა 3.9 ათასი ლარი. (დანარჩენი დაფარულ იქნა საბიუჯეტო ხარჯებიდან)

### სასამართლო, ექსპერტიზა, იურიდიული და საკონსულტაციო მომსახურება და სხვა

2008 წელს აღნიშნულ ხარჯებზე მაუწყებლის საბანკო ანგარიშიდან მიიმართა 20.3 ათასი ლარი. მათ შორის:

- სასამართლო ბაჟი – 8 ათასი ლარი;
- ექსპერტიზა და სხვა – 12.3 ათასი ლარი.

### განბაჟებასთან დაკავშირებული ხარჯები

2008 წელს მაუწყებლის საბანკო ანგარიშიდან აღნიშნულ ხარჯებზე მიიმართა 43.7 ათასი ლარი

### წინა პერიოდის დავალიანებათა დაფარვა

მაუწყებლის წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვაზე საანგარიშო პერიოდში ეკონომიკური საქმიანობიდან მიიმართა 487.5 ათასი ლარი. მათ შორის;

- რესტრუქტურისაციის შემდეგ დაგროვილი გადასახადების გადახდა - 273 ათასი ლარი;
- ევროპის მაუწყებელთა კავშირის (EBU) დავალიანება (2007 წლის საწევრო გადასახადი) – 146,3 ათასი ლარი;

- სხვა დავალიანებები – 68.1 ათასი ლარი.

### სპორტული ღონისძიებები

2008 წელს სპორტულ ღონისძიებებზე მაუწყებლის მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან 267.6 ათასი ლარი. მათ შორის:

- ფეხბურთი (გასვლითი მატჩები) - 243 ათასი ლარი,
- სხვა სპორტული ღონისძიებები – 19 ათასი ლარი,
- მოწვეული კომენტატორები – 5.5 ათასი ლარი.

### სატელევიზიო გადაცემები და პროგრამები

სატელევიზიო პროგრამებზე საანგარიშო პერიოდში ეკონომიკური საქმიანობიდან მიიმართა - 79.5 ათასი ლარი. მათ შორის აღსანიშნავია ქვემოთ ჩამოთვლილ სატელევიზიო პროექტებზე გაწეული ხარჯები:

- საახალწლო გადაცემები 1.3 ათასი ლარი;
- კაბარე “5 ვარსკვლავი” – 3.1 ათასი ლარი;
- დოკუმენტური ფილმებისათვის (“ბაქტერიოფაგი”, “წითლები” და “1937 წელი”) სცენარისა და გადაღების ხარჯები – 30.6 ათასი ლარი;
- სინქრონული თარგმანები - 9.1 ათასი ლარი;
- სხვადასხვა გადაცემების წამყვანები და კომენტარები – 11.7 ათასი ლარი;
- გადაცემების საპრიზო და სასახუქრე ფონდი – 18 ათასი ლარი;
- გადაცემა “გოუ“-ს მოცეკვავე გოგონები – 5.4 ათასი ლარი.

### ევროვიზიის ხარჯები (მ.წ საბავშვო)

ევროვიზიის ხარჯებზე 2008 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან მიიმართა 140.5 ათასი ლარი. მათ შორის საბავშვოზე – 78.4 ათასი ლარი. აღნიშნულ პროექტებზე დახარჯული თანხების ძირითადი ნაწილი მოდის შედეგ ხარჯებზე:

- საბავშვო ევროვიზიის შიდა შესარჩევი კონკურსში მონაწილე ბავშვებისთვის იმიჯის და სტილის შემუშავება – 19.9 ათასი ლარი;

- საბავშვო ევროვიზიის შიდა შესარჩევი კონკურტისათვის ხმის, განათებისა და პიროტექნიკის აპარატურის ქირავნობა – 25.6 ათასი ლარი;
- საბავშვო ევროვიზიის კონკურსში მონაწილეობისათვის საწევრო გადასახადი – 26.2 ათასი ლარი;
- საბავშვო ევროვიზიისთვის სიმღერების მუსიკალური რედაქტირება და არანჟირება – 4.6 ათასი ლარი;
- საპრიზო ფონდი – 1.6 ათასი ლარი;
- საბავშვო ევროვიზიის შიდა შესარჩევი კონკურტისათვის რეკვიზიტების შეძენა – 0.8 ათასი ლარი;
- ევროვიზიის შესარჩევი კონკურტის ხმის რეჟისურა 3.1 ათასი ლარი;
- თეატრალური სანახაობის მოწყობა – 9.4 ათასი ლარი;
- სასტუმროსა და ცხოვრების ხარჯი – 33.7 ათასი ლარი.

**ფილმებისა და სერიალების შექმნა და თარგმნა-გახმოვანება**

აღნიშნულ ხარჯებზე 2008 წელს მაუწყებლის საბანკო ანგარიშიდან მიიმართა 213.1 ათასი ლარი. მათ შორის: ფილმების (სერიალები) სატელევიზიო ეთერში ჩვენების ლიცენზიების შესყიდვაზე 120.7 ათასი ლარი, ხოლო სატელევიზიო ფილმების თარგმნა-გახმოვანების ხარჯებზე 92.4 ათასი ლარი (აღნიშნული თანხა მოიცავს საბიუჯეტო სახსრებიდან შექმნილი ფილმების თარგმნა-გახმოვანების ხარჯებსაც).

**ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა შენახვის ხარჯები**

მაუწყებლის მიერ საანგარიშო პერიოდში ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა შენახვაზე ეკონომიკური საქმიანობიდან გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 78.2 ათასი ლარი. მათ შორის:

- საწვავის შეძენა 19.9 ათასი ლარი;
- ანტიფრიზი და სხვა საცხებ-საპოხი მასალები 5.2 ათასი ლარი;
- ავტომობილების შეკეთება 18.1 ათასი ლარი;

- სატრანსპორტო მომსახურება 15.4 ათასი ლარი;
- ავტომობილების სათადარიგო ნაწილები 19.5 ათასი ლარი.

### ტექნიკის და სხვა ინვენტარის შეძენა

2008 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან აღნიშნული ხარჯების დასაფინანსებლად მიიმართა 1 760.5 ათასი ლარი. აღნიშნული ხარჯები გადანაწილდა შემდეგ ძირითად კატეგორიებზე:

- კონდეციონერების შეძენა და მონტაჟი 6.4 ათასი ლარი;
- სტუდიური და სატელევიზიო ტექნიკის შეძენა – 819.9 ათასი ლარი;
- ვირტუალური სტუდიის პროგრამის განახლება 213.4 ათასი ლარი;
- კასეტების შეძენა – 12.1 ათასი ლარი;
- არქივის აპარატურის შეძენა 24.8 ათასი ლარი;
- ავტომანქანის შეძენა 27.4 ათასი ლარი;
- კომპიუტერული ტექნიკის შეძენა 91.3 ათასი ლარი;
- ტექნიკის აქსესუარები და სათადარიგო ნაწილები 10.9 ათასი ლარი;
- ვიდეოპროექტორის შეძენა 3.2 ათასი ლარი;
- პროგრამული უზრუნველყოფა 7 ათასი ლარი;
- განათება, დეკორატიული განათება, სპეცნათურები 16.9 ათასი ლარი;
- სატელევიზიო გრაფიკული გაფორმების შესყიდვა 526.2 ათასი ლარი.

### საოფისე და სტუდიური ავეჯის შეძენა

მაუწყებლის მიერ საანგარიშო პერიოდში ახალი სტუდიებისა და საოფისე ავეჯის შეძენაზე ეკონომიკური საქმიანობიდან მიიმართა 96.5 ათასი ლარი.

### სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები

2008 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების დასაფინანსებლად მიიმართა 1 418.4 ათასი ლარი. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი ძირითადი ხარჯები:

- შენობა ნაგებობების კაპიტალური რემონტი – 137.4 ათასი ლარი;
- ახალი სტუდიის (news room) მშენებლობა – 687.3 ათასი ლარი;

- მეტალოკონსტრუქცია სატელიტური ანტენების განთავსავსებლად და ანტენების გადმოტანა – 100.2 ათასი ლარი;
- ახალი სტუდიის (News room) საინჟინრო სამუშაოები და კონდიციონერება 493.4 ათასი ლარი.

### **დეკორაციების დამზადება-შექმნა**

მაუწყებლის მიერ საანგარიშო პერიოდში ახალი დეკორაციების შექმნა-დამზადებისათვის ეკონომიკური საქმიანობიდან მიიმართა – 286.1 ათასი ლარი. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი ძირითადი ხარჯები:

- ახალი სტუდიის (news room) დეკორაცია – 263,7 ათასი ლარი;
- პოლიტიკური თოქ-შოუს დეკორაცია – 17.6 ათასი ლარი;
- კაბარე 5 ვარსკვლავის დეკორაცი – 4.8 ათასი ლარი.

## **ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა**

### **სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” მიერ 2008 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების შესახებ**

2008 წელს სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ოდენობამ შეადგინა 5 676.4 ათასი ლარი. მათ შორის:

- იჯარა – 629.7 ათასი ლარი;
- რეკლამა – 2 398.2 ათასი ლარი;
- ქონების რეალიზაცია – 2 276.1 ათასი ლარი;
- მომსახურება – 54.8 ათასი ლარი;
- სხვა შემოსავლები – 317.6 ათასი ლარი.

### **იჯარა**

2008 წელს იჯარიდან დაგეგმილი შემოსავლის ოდენობა (არსებული საიჯარო ხელშეკრულებების მიხედვით) შეადგენდა 907.4 ათას ლარს,

ხოლო მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 629.7 ათასი ლარი, რაც იჯარიდან დაგეგმილი შემოსავლების 69.39 პროცენტია.

### რეკლამა

რეკლამიდან დაგეგმილი შემოსავალის ოდენობა (ხელშეკრულებების მიხედვით) შეადგენდა 3 479.8 ათას ლარს. ამ კუთხით მიღებულმა შემოსავალმა კი შეადგინა 2 398.2 ათასი ლარი, რაც დაგეგმილის 68.92 პროცენტია.

### ქონების რეალიზაცია

ქონების რეალიზაციიდან დაგეგმილი შემოსავლის ოდენობა შეადგენდა 2 276.1 ათას ლარს. მიღებულმა შემოსავალმა კი შეადგინა 2 276.1 ათასი ლარი, რაც დაგეგმილის 100 პროცენტია.

### მომსახურება

მომსახურებიდან დაგეგმილი შემოსავალის ოდენობა შეადგენდა 141.2 ათას ლარს. მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 54.8 ათასი ლარი, რაც დაგეგმილის 38.8 პროცენტია.

### სხვა შემოსავლები

ამ კატეგორიაში შედის:

- დებიტორული ვალების დაფარვა – 149.3 ათასი ლარი;
- გრანტი – 9.1 ათასი ლარი;
- სხვადასხვა – 159.2 ათასი ლარი.